ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა
თეოლოგია

შპს - სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 30.09.2021 წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი წარდგენის თარიღი: 22.11.2021 წ.

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204426834 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | თეოლოგია/Theology |
| უმაღლესი განათლების საფეხური | დოქტორანტურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | თეოლოგიის დოქტორი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | რელიგია და თეოლოგია, 0221 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 58 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | ახალი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო ქიმერიძე, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მამა ეფრემი (გივი ლომიძე), წმ. ეფრემ ასურის არმოსავლურ-დასავლური ცენტრის დირექტორი, თრუმაუს უმაღლესი კათოლიკური სასწავლებელი, ბრიუსელის წმ. თამარ მეფის სახელობის საკათედრო ტაძრის მღვდელ-მონაზონი, ავსტრია |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მამა ილია (ირაკლი ჯინჯოლავა), მსოფლიო საპატრიარქოს საყდრის არქიმანდრიტი და კონსტანტინოპოლის ქართული სამრევლოს წინამძღვარი, თურქეთი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თეონა კუპრაძე, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტმა საავტორიზაციოდ წარმოადგინა დოქტორანტურის ახალი საგანმანათლებლო პროგრამა ***თეოლოგია***. საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ქართულ კანონმდებლობასთან თანხვედრაში, მოიცავს როგორც სასწავლო კურსებს, ისე კვლევით კომპონენტს. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა კვლევის მეთოდოლოგიის შესწავლას. პროგრამის სასწავლო გეგმაში შეთავაზებულია სავალდებულო სასწავლო კურსების ფორმატში ორი 10 კრედიტიანი სასწავლო კურსი ორი არსებითი მიმართულებით, კერძოდ, *თეოლოგიური ჰერმენევტიკა კვლევის მეთოდები თეოლოგიაში*, რომელთაგან პირველი ნაწილი გულისხმობს ***კვლევით სემინარს თეოლოგიის ისტორიაში***, ხოლო მეორე - ***კვლევით სემინარს სისტემატურ თეოლოგიაში***. საგანმანათებლო პროგრამაზე მოსამზადებელი სამუშაოები დაწყებულია 2018 წლიდან, ვინაიდან საგანმანათლებლო დაწესებულებას დაგეგმილი ჰქონდა სტატუსის შეცვლა, რომლის ფარგლებში დაიგეგმა დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება. წინამდებარე აქტივობა დიდ ძალისხმევას მოითხოვდა ინსტიტუციის მხრიდან, კერძოდ, მომზადდა ცალკეული მარეგულირებელი დოკუმენტები, ინსტიტუციამ გაიარა ავტორიზაციის პროცესი, ხოლო პარალელურად დაიწყო მომზადება ახალი საავტორიზაციო პროცესისათვის.

ახალი თვისობრივად განსხვავებული საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების პროცესში პირველ ეტაპზე ჩატარდა კვლევითი სამუშაოები, გაანალიზდა სადოქტორო სწავლების საფეხურთან დაკავშირებული ქართული საგანმანათლებლო საკანონმდებლო მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტები; შემუშავდა ფოკუს ჯგუფებთან მუშაობის სტრატეგია. შემდგომ საფეხურზე 2020 წლის 31 დეკემბერს რექტორის #182-20 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა თვითშეფასების ჯგუფი, რომელმაც არსებული ინფორმაციის, პროგრამის პროექტის, შესწორებული სამართლებრივი აქტებისა და კვლევების მასალებზე დაყრდნობით თვითშეფასების ჯგუფმა შეიმუშავა საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ეტაპობრივი გეგმა. ჯგუფის თითოეულ წევრს განაწილებული ჰქონდა შესაბამისი ფუნქციები და მოვალეობები, რომელთა შორის აღსანიშნავია *საგანმანათლებლო პროგრამის ორიენტირების მოხაზვა; დარგის სპეციალისტებთან, პროგრამის თვითშეფასების დანართის დოკუმენტების შეგროვება და დამუშავება; საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა; სხვადასხვა რაკურსში ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზი და დასკვნების შემუშავება; ანალოგიური პროგრამების მოძიება და საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა შემდგომში გაზიარების მიზნით; საერთაშორისო თანამშრომლობის დოკუმენტაციისა და დამსაქმებლებთან მემორანდუმების მომზადება; საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის მექანიზმის შემუშავება.* თვითშეფასების ჯგუფმა სამუშაო წარმართა ინსტიტუციის სხვადასხვა რგოლებთან კოორდინაციის რეჟიმში, კერძოდ, ისინი გასცემდნენ შესაბამის დავალებებს უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან. თავის მხრივ თვითშეფასების ჯგუფის წევრები დაჯგუფებული იყვნენ თემატურ და სამუშაო ჯგუფებად.

საგანმანათლებლო პროგრამა ფოკუსირებულია თეოლოგიისა და ეკლესიის გამოწვევებზე ორიენტირებული აკადემიური პერსონალის მომზადებაზე. ის მოიცავს სასწავლო (58 ECTS კრედიტს), რომელშიც 48 ECTS სავალდებულოა, ხოლო 10 ECTS არჩევითი და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტით. სავალდებულო სასწავლო კომპონენტები უზრუნველყოფენ თეოლოგიის დოქტორის არსებითი კვლევითი უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული, კომპლექსური, შედეგზე ორიენტირებული აზროვნება, კვლევითი უნარები და სხვ. არჩევითი სასწავლო კომპონენტების ფარგლებში სტუდენტი უზრუნველყოფს საკუთარი ინტერესების შესაბამისად უნარების გაღრმავებას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის "აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ***თეოლოგიის*** სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შესახებ 2021 წლის 27 აგვისტოს № 827529 ბრძანების შესაბამისად, 2021 წლის 30 სექტემბერს დისტანციურად. შეფასების პროცესი მიმდინარეობდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის თანახმად. ყველა დაგეგმილი აქტივობა შესრულდა. დაწესებულებამ შეფასების პროცესში ნაწილობრივ წარმოადგინა დამატებით მოთხოვნილი ექსპერტთა ჯგუფისათვის საინტერესო და მნიშვნელოვანი მასალები (არ იქნა წარმოდგენილი დარგის ექსპერტთა მიერ მითხოვნილი უცხოეთში შესაფასებლად გაგზავნილი დოკუმენტაცია, პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტი).

ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარდგენილ იქნა უნივერსიტეტის წარმომადგენლების წინაშე სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ვიზიტის პროცესში ექსპერტთა მიერ ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები.
შეფასების პროცესის კონკრეტულ ფაზებში მიმდინარეობდა საქმიანი დისკუსიის ფორმატში დარგობრივი მსჯელობა და არგუმენტირებული კამათი ორივე მხრიდან, თუმცა ცალკეულ მომენტებში დაწესებულების მრიდან ადგილი ქონდა კამათის ფორმატის გაუთვალისწინებელ დარღვევებს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოწოდებული მასალების შესწავლის, თემატურ ინტერვიუების შეჯერების, ასევე აკრედიტაციის შეფასების დროს დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფს ჩამოუყალიბდა კონკრეტული შეხედულებები, რეკომენდაციები და კონკრეტული რჩევები შპს-სულახან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ***თეოლოგია*** აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე. ექსპერტთა ჯგუფი არსებული მონაცემებიდან გამომდინარე ადგენს, რომ პროგრამა არ არის შესაბამისობაში უმაღლესი განათლების აკრედიტაციის სტანდარტთან:

| № | სტანდარტი | შეფასება |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან |
| 2 | სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | არ არის შესაბამისი მოთხოვნებთან |
| 3 | სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | შესაბამისია მოთხოვნებთან |
| 4 | სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | არ არის შესაბამისი მოთხოვნებთან |
| 5 | სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან |

საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით გამოთქმული რეკომენდაცები და რჩევები გამოთქმული დარგობრივი ექსპერტების მიერ, ამავე ექსპერტების მოსაზრებით ხელს შეუწყობდა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებასა და ეფექტურ განხორციელებას, მით უფრო, რომ ანალოგია წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამას დღეს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არა აქვს და ამას გარდა, არც თუ ისე ფართო ინტერნაციონალიზაციის ქსელი. ასევე ნიშანდობლივია, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ფაქტიურად აქვს მდგრადი ფინანსური მხარდაჭერა დაწესებულების მხრიდან.

- **რეკომენდაციები**

**კომპონენტი 1.1**

- რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქრურა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, ისე, რომ გათვალისწინებული იყოს აპლიკანტის წინარეცოდნა ღვთისმეტყველების დარგში.

**კომპონენტი 1.2.**

- მნიშვნელოვანია, რომ დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგების რუკები და შემუშავდეს სავარაუდო სამიზნე ნიშნულები.

**კომპონენტი 2.1.**

- შეიცვალოს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კერძოდ, თეოლოგიის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვებულ უნდა იქნას მხოლოდ თეოლოგიის მაგისტრის ხარისხის მქონე პირები. წინააღმდეგ შემთხვევაში კერძოდ, ა) ჰუმანიტარული ან სოციალური მეცნიერების მაგისტრის კვალიფიკაცის შემთხვევაში აპლიკანტმა შეძლოს დარგში წინარე ცოდნის დადასტურება 60 კრედიტიანი დამატებითი პროგრამის ფარგლებში ან დარგობრივი გამოცდის მომზადება წინასწარ განსაზღვრული დარგობრივი საკითხების მიხედვით, რომელზეც აპლიტატი წინსწარ უნდა ფლობდეს ინფორმაციას უსდ-ს ვებ-გვერდიდან; ბ) პროგრამაში გაიწეროს მოთხოვნა სავალდებულო დარგობრივი წინარე ცოდნის დადასტურების შესახებ

სასწავლო კომპონენტის დასრულებისათვის. ამისათვის უსდ-მ შესაძლებელია აპლიკანტს შესთავაზოს ექსრტაკურიკულური სასწავლო აქტივობა, უმაღლესი განათლების მე-6 და მე-7 დონის სასწავლო პროგრამებიდან, რომელიც წინასწარ განესაზღვრება პროგრამაზე დაშვებისთანავე;
- რეკომენდირებულია პროგრამაში აისახოს თეოლოგიის ძირითადი მიმართულებებიდან თუ რომელს სთავაზობს უსდ აპლიკანტს და აქედან გამომდინარე წინასწარ განსაზღვროს და უზრუნველყოს ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობა შეთავაზებული დარგის მიმართულებების სპეციალისტების შესახებ.

**კომპონენტი 2.2.**
- რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის შინაარსი და სწავლის შედეგები და დაკორექტირდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობის განსაზღვრის შემდეგ, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევას;

**კომპონენტი 2.3.**
- მიზნობრივად და მიზანმიმართულად გაიწეროს სასწავლო კურსების (ორი 10 კრედიტიანი კვლევითი სემინარი) კრედიტ მოცულობა, კერძოდ, შეივსოს სასწავლო კომპონენტი დარგის ფუნდამენტური მიმართულებების კომპეტენციის მიმცემი სასწავლო კურსებით;
- სასწავლო კურსებში წარმოდგენილი ლიტერატურა პერმანენტულად შეივსოს დარგის უახლესი კვლევების ამსახველი სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურით.

**კომპონენტი 4.1.**
- რეკომენდებულია რომ დოქტორანტთა ნაშრომების ხელმძღვანელებს ჰქონდეთ არამხოლოდ კვლევები დარგში არამედ თეოლოგიის დოქტორის სამეცნიერო/ან აკადემიური ხარისხი;
- რეკომენდებულია გაიზარდოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, რათა კვლევების კომპონენტში შესაძლო გახდეს თეოლოგიის ძირითადი მიმართულებების სრულად მოცვა.

**კომპონენტი 4.3.**
- რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო კურსებისა და კვლევებისათვის აუცილებელი კრიტიკული თეოლოგიური ლიტერატურის პერმანენტული განახლება;
- მნიშვნელოვანია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა შეივსოს თეოლოგიურ ტერმინთა მრავალტომეული ლექსიკონით;
- რეკონემდებულია უსდ-მ უზრუნველყოს თეოლოგიის მიმართულებით უახლესი და აქტუალური ელექტრონული ბაზების ხელმისაწვდომობა.

**კომპონენტი 4.4.**
- რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტის დეტალიზაცია პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ.

**კომპონენტი 5.1.**
- არსებითად მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს ბაზრის კვლევას არამარტო ახალი პროგრამის შემუშავების პროცესში, არამედ პერიოდულად საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით;
- გამომდინარე იქიდან, რომ საგანამნათლებლო პროგრამას აქვს მხოლოდ ერთი ანალოგი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, არსებითია მომზადდეს პროგრამის შედარება საერთაშორისო დარგობრივ ანალოგებთან საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით.

**კომპონენტი 5.2**
- პროგრამის განვითარების მიზნით გათვალისწინებულ იქნას გარე შემფასებლების მიერ გაცემული რეკომენდაციები, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფას.

**კომპონენტი 5.3**
- პროგრამის ამუშავების შემდგომ ხარისხის მექანიზმების სრული დაცვით განხორციელდეს პროგრამის პერიოდული მონიტორინგი, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფილად განხორციელებას.

- <u>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</u>

**კომპონენტი 1.2**.

- სასურველია მიზნები და შედეგები ისე გაიწეროს, რომ არ ტოვებდეს ინტერპრეტაციის სივრცეს.

**კომპონენტი 3.2**.

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში ფიქსირდებოდეს ასევე ის ძირითადი კვლევითი მიმართულებები, რომელიც პოტენციურ დოქტორანტებს წარმოუდგენს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევით პრიორიტეტებს. ზემოხსენებული ჩანაწერის არსებობა საგანმანათლებლო პროგრამაში პოტენციურ დოქტორანტებს ხელს შეუწყობს პროგრამაზე დაშვებამდე დარგობრივი კომისიის წინაშე წარმატებით წარადგინონ დისერტაბელური კვლევითი პროექტი (ექსპოზე).

**კომპონენტი 4.1**

- სასურველია უსდ-მ ჩამოაყალიბოს თეოლოგიის მიმართულებით ცალკე ადმინისტრაციული ერთეული ფაკულტეტის ან სკოლის სახით, რაც დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე გაზრდის პროგრამის მდგრადობას და მათი განმახორიცლებელი პერსონალის რიცხოვნობას.

**კომპონენტი 5.1**.

- ინსტიტუციაში ხარისხის კულტურის გაძლიერებისა და ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე სიახლეებისა და გამოწვევების იმპლემენტაციის მიზნით სასურველია განათლების ქართველ და უცხოელ ექსპერტთა ჩართულობით მომზადდეს ვორკშოპები და სემინარები საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებელთათვის;
- სასურველია მეთოდურად გაიმიჯნოს პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის და თვითშეფასების ჯგუფის საქმიანობა, რომელთაგან პირველი საგანმანათლებლო პროგრამას აკვირდება შიგნიდან, ხოლო მეორე გარედან შეფასების მიზნით, რათა მიღწეულ იქნას საგანმანათლო პროგრამის სრულყოფილი და ერთიანი აღქმა.

**საუკეთესო პრაქტიკა**

**კომპონენტი 3.2**.

- საუნივერსიტეტო სადოქტორო სკოლის მნიშვნელოვან და გასაზიარებელ პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს აკადემიური კვლევის დაგეგმვისა და განვითარების მენეჯერის ჩართულობა აკადემიურ პროცესებში, რომელიც დოქტორანტთა ხელმძღვანელთან კოორდინაციით აორგანიზებს დოქტორანტის აკადემიურ აქტივობას და ხელს უწყობს მისი სასწავლო კვლევითი პროცესების შედეგების წარმატებულად დასრულებას.

- **არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების შესახებ**

2021 წლის 16 ნოემბრის სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ექსპერტთა ჯგუფთან გაზიარებული კორესპონდენციის (N1233509) დანართის სახით გაზიარებულ იქნა შპს-სულხან საბა ორბელიანის უნივერსიტეტიდან N1011-03/21 მიღებული წერილი (ცენტრში რეგისტრაციის N1227590), რომლის გაცნობის შემდგომ, ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა წარმოდგენილი არგუმენტების შესახებ, თუმცა დარგობრივი ექსპერტების განმარტების საფუძველზე, უცვლელად დატოვა დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შედარება განხორციელდა აკრედიტაციის სტანდარტებთან დაარსებულია 2002 წელს როგორც სასწავლო უნივერსიტეტი/საბაუნი დაარსდა. 2021 წლის 2 აპრილს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (N320269) გადაწყვეტილებით დაწესებულებას 6 წლის ვადით მიენიჭა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) სტატუსი, (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი") და შესაბამისად, შეიცვალა დაწესებულების სტატუსი, რამაც საშუალება მისცა უსდ-ს დაეწყო ახალი ფაზა, კერძოდ კი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება.<br>„უნივერსიტეტის მისიაა, ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების პრინციპებზე დაყრდნობით, კულტურათა და თაობათა დაახლოებისა და საზოგადოების განვითარების მიზნით, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე უზრუნველყოს სწავლა, სწავლება და კვლევა ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით."[3] შესაბამისად, ის საფუძვლად დაედო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების შემუშავებას.<br>უსდ-ს მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობამ ცხადყო, რომ უნივერსიტეტის მოქმედების ძირითადი ამოსავალი დებულებებია: *თავისუფლება, ადამიანთა ღირსების პატივისცემა, საზოგადოების განვითარებაზე ზრუნვა და პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე,* შემოქმედებითი მიდგომა სწავლისა და კვლევის პროცესისადმი, *ხარისხი, ერებსა და კულტურათა შორის ჰარმონიული თანაცხოვრება,* რასაც ასევე ადასტურებს უნივერისტეტის ხედვა, ღირებულებები და სტრატეგია.<br>კვლევების საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების (***სამართალი, თეოლოგია***) პარალელურად უნივერსიტეტში შექმნილია სადოქტორო სკოლა, რაც ითვალისწინებს უნივერსიტეტში ეფექტურად და ხარისხიანად კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერას სხვადასხვა მექანიზმების ჩართულობით.<br>უნივერსიტეტის მიერ აკრედიტაციისათვის წარმოდგენილი დოქტორანტურის ახალი საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს თეოლოგიის აქტუალურ საკითხებზე სიღრმისეულ სამეცნიერო ანალიზს, შედეგზე ორიენტირებული კვლევის წარმართვასა და ახალი ცოდნის გენერირებას; დარგის გამოწვევებზე ორიენტირებული მკვლევრებისა და აკადემიური პერსონალის მომზადებას და დარგის განვითარებაში წვლილის შეტანას ხარისხიანი სამეცნიერო ნაშრომების შექმნით. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები გააზრებულია საუნივერსიტეტო მისიისა და ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიის დოკუმენტის ჩარჩოში. პროგრამის მიზნების თანახმად მომავალი მკვლევარი ორიენტირებულია უახლესი თეორიული ცოდნის საფუძველზე წარმართოს კვლევა, შექმნას ახალი ცოდნა და ამდენად, იყოს კონკურენტურანიანი. ამას გარდა სწავლების |

[3] **უნივერსიტეტის მისია**·ხელმისაწვდომია ვერბმისამართზე:https://sabauni.edu.ge/ka/content/31/216/212· უკანასკნელი ჩამოტვირთა: 03.10.2021;

უახლესი მეთოდების დაუფლება მას საშუალებას მისცემს გააზიაროს საკუთარი სამეცნიერო გამოცდილება და ცოდნა როგორც აკადემიური ისე დარგით დაინტერესებული აუდიტორიის წინაშე.
საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ინტერნაციონალიზაციის თემები (მეორანდუმები დარგის კვლევის უცხოურ ცენტრებთან და უნივერსიტეტებთან, კათოლიკური აკადემიური გაცვლის სამსახურის სასტიპენდიო და საგრანტო პაკეტები), დოქტორანტებს საშუალებას მისცემს დარგის აქტუალური თემები იკვლიონ კულტურათა და დარგთაშორისი დიალოგის ჩარჩოში, რაც პირდაპირი გაცხადებაა მისიით გათვალისწინებული დებულებისა: *კულტურათა დაახლოებისა და საერთაშორისო დონეზე სწავლა, სწავლებისა და კვლევის უზრუნველყოფა.*
გამომდინარე იქიდან, რომ წინამდებარე პროგრამას ქართულ უსდ-ებში მხოლოდ ორი ანალოგი აქვს, კურსდამთავრებულს შესაბამისად მიზნად უსახავს დარგის განვითარებასა და ამ მიმართულებით გამოცდილების გაზიარების მაღალ პასუხიმგებლობას, რაც ასევე უნივერსიტეტის მისიის ნაწილია, კერძოდ, ეს უკანასკნელი გულისხმობს საზოგადოების განვითარების მიზნით ცოდნისა და კვლევის შედეგების გაცნობას არა მხოლოდ აკადემიური, არამედ ფართო საზოგადოებისთვის. კურსდამთავრებული შესაძლოა დასაქმდეს აკადემიურ სივრცეში, ან განაგრძოს კვლევითი საქმიანობა კონკრეტული დარგობრივი მიმართულებით კვლევით ინსიტიტუციებში.
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ***თეოლოგია*** მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ხედვას, აგრეთვე სტრატეგიული განვითარების გეგმას. პროგრამის მიზნები კონკრეტული, მიღწევადია თეოლოგიური წინარეცოდნის არსებობის შემთხვევაში და გაზომვადია. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ემყარება უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმასა და სტრატეგიას. ამის დასტურია კონკრეტული ჩანაწერი უსდ-ს 2020-2026 წწ. სტრატეგიაში, სადაც აღნიშნულია, რომ „საგანმანათლებლო ბაზარზე პროგრამების პოზიციონირება [ნიშა] და დიფერენცირებული საგანმანათლებლო პროდუქტების შეთავაზება უპრეცედენტო პერსპექტივას წარმოადენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარებისა გრძელვადიან პერიოდში“. თუმცა აღნიშნული მიზნების მისაღწევად დარგობრივი ექსპერტების ჯგუფის აზრით მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროგრამა ფარავდეს ყველა საჭირო მოთხოვნას, რაც აუცილებელია თეოლოგის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისაღწევად.
მნიშვნელოვანი იყო პროგრამის მიზნების პროგრამის შედეგებზე შეთანადება. არსებულმა მოცემულობამ აჩვენა მიზნებისა და შედეგების ძირითადში თავსებადობა. პროგრამის კურსდამთავრებული დამოუკიდებლად ახდენს იდენტიფიცირებას კვლევის აქტუალური თემატიკის ფარგლებში, განსაზღვრავს პრობლემატიკას, ირჩევს მეცნიერული კვლევის მიდგომებსა და შესაბამის მეთოდოლოგიას. ამდენად, პროგრამის შედეგების პირველი და მეორე შედეგი უშუალოდ დაკავშირებულია პროგრამის პირველ მიზანთან, სახელდობრ, კურსდამთავრებული მზადაა ჩაერთოს დარგობრივ თემებზე საჯარო გამოსვლებში აკადემიური წრეების მიერ მომზადებულ ქვორუმებში, ან წარადგინოს კვლევის შედეგები პუბლიცირების მიზნით, გეგმავს და უძღვება სალექციო და სასემინარო კურსებს, უშუალოდ მოიაზრება საგანმანათლებლო პროგრამის მეორე მიზანში. მესამე მიზანი ფარავს სწავლის რამდენიმე შედეგს მათ შორის მესამესა და მეოთხეს, ანუ გამომდინარე იქიდან, რომ მესამე მიზანი გულისხმობს საზოგადოებაში წვლილის შეტანას, ეს პირდაპირ გულისმობს რამდენი შედეგს, ერთი მხრივ, კურსადმთავრებული, როგორც მკვლევარი (რომელიც დამოუკიდებლად ირჩევს, აკვირდება, შეისწავლის საკითხს, იშველიებს კონკრეტულ თეორიებსა და მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რომელთაც კრიტიკულად უდგება და არგუმენტირებული მსჯელობით გამოაქვს დასკვნები), ხოლო სხვა მხრივ, როგორც აკადემიური პერსონალი (იღებს გადაწყვეტილებას და აკადემიური კეთილსინდისიერების ფარგლებში წარმოადგენს სასწავლო მასალა, წარადგენს აუდიტორიის წინაშე და პასუხს აგებს მიწოდებული ინფორმაციის ავთენტურობასა და ვალიდურობაზე). ამდენად, სწავლის შედეგები, ლოგიკურად არის პროგრამის მიერ დასახულ მიზნებთან ბმაში. თუმცა შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურსდამთავრებული ვერ შეძლებს საგანმანათლებლო პროგრამის მიერ დასახული მიზნების მიღწევას, რადგან საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობა არის ფართო და ვერ უზრუნველყოფს აპლიკანტის წინარეცოდნის სრულყოფილად შემოწმებას. შესაბამისად არ გულისხმობს კურსდამთავრებულის თეოლოგიის ოთხი ძირითადი ქვედარგის (პროგრამაში მოცემულია მხოლოდ ორი ქვედარგი, ხოლო ორი არ არის გათვალისწინებული) მინიმალური ცოდნით უზრუნველყოფას.
საგანმანათლებლო პროგრამა ხელმისაწვდომი იქნება დაინტერესებულ პირთათვის, ვინაიდან

| |
|---|
| უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მის მიერ განხორციელებული ყველა საგანმანათლებლო პროგრამის საკუთარ გვერდზე განთავსებას[4]. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• უნივერსიტეტის მისია;<br>• თვითშეფასების ანგარიში;<br>• უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (2020-2026);<br>• სადოქტორო საგანამანთლებლო პროგრამა;<br>• უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;<br>• აკრედიტაციის ვიზიტის პროცესში განხორციელებული ინტერვიუები. |
| **რეკომენდაციები:**<br>• რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, ისე, რომ გათვალისწინებული იყოს აპლიკანტის წინარეცოდნა ღვთისმეტყველების დარგში.- |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>- |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>- |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>- |
| **შეფასება**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☑ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები |
|---|
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საგანმანათლებლო პროგრამის პორტფოლიოს შესწავლის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფს ნათელი წარმოდგენა შეექმნა, საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების ერთიანი შინაარსის შესახებ, რომელიც ფორმირებულია ოთხი ძირითადი პოსტულატით, რომელთაგან პირველი მიემართება ცოდნის ნაწილს, ორი შემდგომი - უნარების კომპეტენციის ჩამოყალიბებასა და ერთიც დამოუკიდებლობისა და ავტონომიურობის ნაწილს. თითოეული მათგანი შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული, *განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორს*, რომელიც, თავის მხრივ ეფუძნება ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსა (EQF LLL) და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს (QF-EHEA) მოთხოვნებს.<br>*ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს* თანახმად დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაში ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები, ერთის მხრივ, შეესაბამება მე-8 დონეს, კვალიფიკაციის სირთულის შესატყვისი განმსაზღვრელი ელემენტებით, ხოლო მეორეს მხრივ, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე აღნიშნული სადოქტორო პროგრამა მოითხოვს კორექტირებას. (იხ. რეკომენდაციები). |

[4] სადოქტორო სკოლა·ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:
https://sabauni.edu.ge/ka/content/34/307·უკანასკნელი ნახვა: 03.10.2021;

პირველი შედეგის თანახმად, რომელიც ფარავს ცოდნა/გაცნობიერების ნაწილს, აქცენტირებულია პროგრამის ფარგლებში დარგობრივ (საღვთისმეტყველო სწავლების) ტექსტებზე დაკვირვებით და ეკლესიის სწავლებით აპრობირებული პრობლემატიკის განსაზღვრა, კვლევითი საკითხის ჩამოყალიბება. წინამდებარე ჩანაწერი გარკვეულწილად შეესაბამება კვალიფიკაციის ჩარჩოთი დადგენილ მოთხოვნას, თუმცა დარგობრივი ექსპერტების ხედვით მნიშვნელოვანი იყო გამოჩენილიყო შედეგის ის ნაწილი, რომელიც გადის სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის შექმნაზე, ანუ დოქტორანტი არა მხოლოდ განსაზღვრავს აქტუალურ საკვლევ თემატიკას, არამედ ის მისი განსაზღვრის შემთხვევაში კვლევის პროცესში იფართოებს ცოდნას და მის საფუძველზე ქმნის კვლევის შედეგად ახალ ცოდნას. პირველი შედეგის დაკორექტირება იმდენად სასურველია, რამდენადაც მეორე შედეგში პროგრამის განმახორციელებელი პირები ხაზგასმით მიუთითებენ რომ კრიტიკული ანალიზისა და სინთეზური მიდგომის საფუძველზე აფასებს ახალ და რთულ იდეებს. ხოლო შეფასების პროცესში, მით უფრო კრიტიკულის, ბუნებრივია, კურსდამთავრებული აყალიბებს ცოდნის ნაწილში ახლებურ მიდგომებს, სავარაუდოდ კონკრეტული არგუმენტების საფუძველზე.

ორი შემდგომი შედეგი ხაზს უსვამს დოქტორნატის კვლევისა და აკადემიური კომუნიკაციის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რაც ესადაგება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი განსაზღვრულ უნარებს მე-8 დონისათვის, შესაბამისად, ასახავს კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის შესაბამისი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობას: *ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკულ ანალიზს, სინთეზურ შეფასებას,* ეს უკანასკნელი კი კომპლექსური საკითხის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური მიდგომაა; ამავდროულად კურსდამთავრებულს კონკრეტული კვლევითი და სასწავლო აქტივობების საფუძველზე უვითარდება საკომუნიკაციო უნარები როგორც მშობლიურ, ისე უცხოურ ენებზე, რაც ხელს უწყობს მისი კვლევების გაზიარებას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო აკადემიურ წრეებში. მას ასევე შემუშავებული აქვს აკადემიურ პოზიციაზე ცოდნის გაზიარების ჩვევები, რაც უშუალოდ უკავშირდება პროგრამის მიერ დასახულ მიზნებს.

საგანმანათლებლო პროგრამის მეოთხე შედეგი ასახავს კურსდამთავრებულის პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ხარისხს, შესაბამისად, სწავლის შედეგი ფოკუსირდება კურსდამთავრებულის აკადემიური ეთიკასა და აკადემიური კეთილსინდისიერებაზე კვლევის პროცესში, დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას და ეძებს ორიგინალურ გზებს დასკვნების გამოსატანად და იღებს პასუხიმგებლობას კვლევის შედეგებზე. წინამდებარე აქტივობას ის ახორციელებს დოქტორანტურაში სწავლის პროცესში ეტაპობრივად სხვადასხვა აქტივობის (როგორც სასწავლო, ისე კვლევითი კომპონენტებით) ფარგლებში, რაც ასევე თანხვედრაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერებთან - სწავლის შედეგებთან.

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების თანხვედრის ვიზუალიზაციის მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, სადაც მატრიცაში წარმოდგენილი იყო მიზნებისა და სწავლის შეეგების თავსებადობა. რუკაში დატანილია მიზნებისა და შედეგების მიმართებები, კერძოდ, ცოდნის კომპეტენცია მიესადაგება პირველ ორ მიზანს. რაც შეეხება უნარების კომპეტენციის პირველი შედეგი, რომელიც გულისხმობს კვლევითი ჩვევების ჩამოყალიბებას, გადის პროგრამის ორ მიზანზე, რომელთაგან ერთი უშუალოდ კვლევით კომპონენტს ასახავს, ხოლო მეორე - აკადემიურ სივრცეში მკვლევრის ჩართულობასა და კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში იმპლემენტაციასა და გაზიარებას.

რაც შეეხება საკომუნიკაციო უნარების შემუშავების შედეგს, ის გადის მხოლოდ მესამე მიზანზე, სადაც მსჯელობაა კვლევის შედეგების საზოგადოებისათვის გაზიარებაზე, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ კვლევის შედეგებისა და ცოდნის გაზიარება და დარგის განვითარებაში წვლილის შეტანა ხდება არამხოლოდ ნაშრომის შექმნის პროცესში, არამედ დამოუკიდებელი მკვლევრის არაერთი ნაშრომის პროდუცირებასა და აკადემიური პერსონალის მოღვაწეობაში სასწავლო სივრცეში. ასევე დარგობრივი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ნაშრომის შექმნა, ეს არის ერთგვარი კვინტესენცია კვლევის მაღალი კოეფიციენტის მქონე საგანმანათლებლო პროგრამებში, შედეგად, წინმადებარე აქტივობას აქვს რეალური ბმა, ფაქტობრივად პროგრამის ყველა მიზანთან. აქედან გამომდინარე, მიზნებისა და შედეგების ურთიერთმიმართების რეალური სურათი რუკაში უნდა დაკორექტირდეს.

შესაბამისად, უნდა გადაიხედოს *პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა.* წინამდებარე დოკუმენტში, ვინაიდან სასწავლო კურსებს შორის

| |
|---|
| განაწილებული სტატუსი რიგ შემთხვევაში მოითხოვს დაზუსტებას (კონკრეტულად **აკადემიური წერა და დისერტაციის არქიტექტონიკა** ის სასწავლო კურსია, რომელიც კვლევითი პროდუქტის ჩამოყალიბების საწყისი ეპიზოდია; **კვლევის მეთოდები თეოლოგიაში**, **სწავლების მეთოდები** - განმავითარებელი, ხოლო **პროფესორის ასისტენტობა** იქნება ერთგვარი გამყარება სწავლის მეთოდებში მიღებული ცოდნის, რაც დოკუმენტში წარმოდგენილია დაოსტატების სტატუსის ფარგლებში). რაც შეეხება კვლევით სემინარებს ის დოქტორნატს კვლევის უნარების განვითარების შესაძლებლობას აძლევს (მას შემდეგ რაც ის გაივლის აკადემიური წერისა და დარგის კვლევის მეთოდების სასწავლო კურსებს), ხოლო კვლევის დაოსტატება აისახება მოგვიანებით უკვე სრულყოფილ კვლევით ნაშრომში, კერძოდ, დისერტაციაში. შესაბამისად, გადასახედი იქნება სასწავლო კურსების მიმართება სწავლის შედეგებთან.<br>პროგრამასთან ერთად ექსპერტებისთვის ხელმისაწვდომი არ იყო სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულებისა და შეფასების გეგმის დოკუმენტი. შესაძლებელია, მისი არწარმოდგენა განპირობებული იყო ახალი პროგრამის წარდგენიდან გამომდინარე, ამდენად, პროგრამის სამიზნე ნიშნულების მიღწევად სავარაუდოდ მიჩნეულია საკვალიფიკაციო ნაშრომის წარმატებული დაცვა (პოზიცია დაფიქსირდა აკადემიურ პერსონალთან და პროგრამის განმახორციელებლებთან დისკუსიის შედეგად). რაც შეეხება სასწავლო კომპონენტებს, ისინი მიმართულია სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის წარმეტებით შესრულებაზე. თუმცა ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ჯერ კიდევ ახალი პროგრამის წარდგენის შემთხვევაშიც კი შესაძლებელია სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა არსებული გამოცდილებიდან გამომდინარე და შემდგომ ეტაპობრივად მისი ანალიზი და კორექტირება.<br>სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები გაზომვადია ცალეკული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტით, რომელიც ლოგიკური დაბოლოებაა პროგრამისთვის. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ურთიერთთანხვედრადია წარმოდგენილი მინიმალური მოცულობით, რაც დაინტერესებული პირისგან გარკვეულწილად ინტერპრეტაციას მოითხოვს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• საგანმანათლებლო პროგრამა;<br>• თვითშეფასების ანგარიში;<br>• ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;<br>• აკრედიტაციის პროცესში წარმართული ინტერვიუები;<br>• პროგრამის სწავლის შედეგების რუკები. |
| **რეკომენდაციები:**<br>- მნიშვნელოვანია, რომ დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგების რუკები და შემუშავდეს სავარაუდო სამიზნე ნიშნულები. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>- სასურველია მიზნები და შედეგები ისე გაიწეროს, რომ არ ტოვებდეს ინტერპრეტაციის სივრცეს. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>- |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>- |
| **შეფასება**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☑ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია | მეტწილად | ნაწილობრივ | არ არის |
|---|---|---|---|---|

| | მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | | ✓ | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ***თეოლოგია*** დაშვების წინაპირობები განისაზღვრა *დოქტორანტურის დებულების* თანახმად. იგი შედგება რამდენიმე ძირითადი პუნქტისგან, კერძოდ, პროგრამის განმახორციელებლები უშვებენ თეოლოგიის ან ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირებს, ასევე მნიშვნელოვანია სადოქტორო პროგრამაზე დაშვების მიზნით დარგობრივ კომისიასთან გასაუბრება, სადაც დოქტონატობის მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს პოტენციური ხელმძღვანელის რეკომენდაცია და კონკრეტული პროექტი, ექსპოზე, რომელიც დისკუსიის, განსჯისა და შეფასების საგანი ხდება დარგობრივი კომისიის წინაშე. და ბოლოს, უცხოური ენის (ინგლისური ან გერმანული ან ფრანგული) ცოდნის დადასტურება უცხოური ენების სწავლა-სწავლების ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს $B^2$ დონეზე. ენობრივი კომპეტენციის დადასტურება შესაძლებელია მოხდეს უცხოურ ენაში ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი სერთიფიკატით ან უცხოეთში საბაკალავრო ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სრული ან არასრული კურსის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენით. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების სხვა დეტალებს (ჩარიცხვის მაძიებლის შეფასება დარგობრივი კომისიის მიერ, რომლიც ჩაშლილია დეტალურად, გაზომვად კრიტერიუმებად და იძლევა ქულობრივ სკალაზე სამართლიანი შეფასების საშუალებას) ასევე არეგულირებს დოქტორნატურის დებულება.<br>საგანმანათლო პროგრამაზე დაშვების სხვა პირობათა შორის ასევე ვკითხულობთ, რომ პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დაგენილი წესით; ასევე პროგრამა უშვებს უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულებიდან ჩარიცხვას ან გადმოყვანას ასევე მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში და შესაბამის ვადებში.<br>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი დეტალურად გაეცნო წინამდებარე პირობებს და არსებული მონაცემებიდან გამომდინარე წარმოადგინა არგუმენტირებული კრიტიკული პოზიცია. დარგის ექსპერტთა მოსაზრებით:<br>➢ დაშვების მოთხოვნა თეოლოგიის ან ჰუმანიტარულ და სოციალურის მეცნიერების მაგისტრი - აპლიკანტებს უკვე აყენებს არათანაბარ პირობებში, გამომდინარე იქიდან, რომ მათი დარგობრივი ცოდნა პროგრამაზე დაშვების მიზნით დანიშნულ გასაუბრებაზე იმთავითვე იქნება არათანაბარი;<br>➢ ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების კურსდამთავრებულთა მიერ |

წარმოდგენილი მხოლოდ ექსპოზე ან პროექტში გაშუქებული ერთი საკითხის შესწავლით, მით უფრო, როცა დარგობრივი სასწავლო კომპონენტი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაში მინიმალურია, ვერ იძლევა დარგობრივი კომპეტენციის იმ დონეს, რომელიც აუცილებელია დარგში კვლევების სრულყოფილად წარმართვისათვის.

- ამდენად, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ დაშვების წინაპირობის მიხედვით: ა) აპილკანტს უნდა ჰქონდეს თეოლოგიის მაგისტრის კვალიფიკაცია; ბ) ჰუმანიტარული ან სოციალური მეცნიერების მაგისტრის კვალიფიკაციის შემთხვევაში მან უნდა შეძლოს დარგში წინარე ცოდნის დადასტურება 60 კრედიტიანი დამატებითი პროგრამის ფარგლებში ან დარგობრივი გამოცდის ჩაბარება წინასწარ განსაზღვრული დარგობრივი საკითხების მიხედვით, რომელზეც ინფორმაციას აპლიტატი წინასწარ უნდა ფლობდეს ინფორმაციას უსდ-ს ვებ-გვერდიდან; გ) პროგრამაში განმარტებული უნდა იყოს სავალდებულო დარგობრივი წინარე ცოდნის დადასტურება სასწავლო კომპონენტის დასრულებისათვის. ამისათვის უსდ-მ შესაძლებელია აპლიკანტს შესთავაზოს ექსრტაკურიკულური სასწავლო აქტივობა, უმაღლესი განათლების მე-6 და მე-7 დონის სასწავლო პროგრამებიდან, რომელიც წინასწარ განესაზღვრება აპილიკანტს პროგრამაზე დაშვებისთანავე.

დარგობრივი ექსპერტების მოსაზრებით, თუ გავითვალისწინებთ საერთაშორისო გამოცდილებას, არსებითია მე-8 დონეზე დაშვების წინაპირობაში აპლიკანტის კვალიფიკაციაში ფიგურირებდეს *თეოლოგიის მაგისტრის კვალიფიკაცია ან აკმაყოფილებდეს ზემოთ მოცემულ შესაბამის პირობებს.* აქედან გამომდინარე მე-2 სტანდარტის წინამდებარე კომპონენტი არ შეესაბამება მოთხოვნებს.

ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ პროგრამაში არ არის მითითებული, თუ თეოლოგიის რომელი ძირითადი მიმართულებით შეუძლია აპლიკანტს განახორციელოს სადოქტორო დისერტაცია, შესაბამისად, პროგრამაში უნდა აისახოს ამ ძირითადი მიმართულებებიდან თუ რომელს სთავაზობს უსდ აპლიკანტს და აქედან გამომდინარე წინასწარ განსაზღვროს და უზრუნველყოს საჯაროდ ხელმისაწვდომობა შეთავაზებული დარგის მიმართულებების სპეციალისტების შესახებ.

საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის შემდგომ საჯარო გახდება, ამ ეტაპზე უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის გვერდზე უკვე განთავსებულია უკანასკნელ პერიოდში აკრედიტებული დოქტორნატურის ახალი საგანმანათლებლო პროგრამა ***სამართალი***. საგანმანათლებლო პროგრამის გასაჯაროებისთანავე აპლიკანტებისთვის ხელმისაწვდომი იქნება პროგრამაზე დაშვების წინაპირობებიცა და პროცედურებიც.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტში მოქმედი დოქტორანტურის დებულება;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი https://sabauni.edu.ge/ka/content/34/307.

**რეკომენდაციები:**

- შეიცვალოს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კერძოდ, თეოლოგიის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვებულ უნდა იქნას მხოლოდ თეოლოგიის მაგისტრის ხარისხის მქონე პირები. წინააღმდეგ შემთხვევაში კერძოდ, ა) ჰუმანიტარული ან სოციალური მეცნიერების მაგისტრის კვალიფიკაცის შემთხვევაში აპლიკანტმა შეძლოს დარგში წინარე ცოდნის დადასტურება 60 კრედიტიანი დამატებითი პროგრამის ფარგლებში ან დარგობრივი გამოცდის მომზადება წინასწარ განსაზღვრული დარგობრივი საკითხების მიხედვით, რომელზეც აპლიტატი წინასწარ უნდა ფლობდეს ინფორმაციას უსდ-ს ვებ-გვერდიდან; ბ) პროგრამაში გაიწეროს მოთხოვნა სავალდებულო დარგობრივი წინარე ცოდნის დადასტურების შესახებ სასწავლო კომპონენტის დასრულებისათვის. ამისათვის უსდ-მ შესაძლებელია აპლიკანტს შესთავაზოს ექსრტაკურიკულური სასწავლო აქტივობა, უმაღლესი განათლების მე-6 და მე-7 დონის სასწავლო პროგრამებიდან, რომელიც წინასწარ განესაზღვრება პროგრამაზე დაშვებისთანავე;
- რეკომენდირებულია პროგრამაში აისახოს თეოლოგიის ძირითადი მიმართულებებიდან თუ რომელს სთავაზობს უსდ აპლიკანტს და აქედან გამომდინარე წინასწარ განსაზღვროს და უზრუნველყოს საჯაროდ ხელმისაწვდომობა შეთავაზებული დარგის მიმართულებების სპეციალისტების შესახებ.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- 

| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |
| --- |
| - |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| - |
| **შეფასება**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☑ **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
| --- |
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მართვის სამსახურს შემუშავებული აქვს ***საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგიისა და მისი დამტკიცების წესი*** (12.06.2018 რექტორის ბრძანება N55-18, განახლებული 26.04.2021 რექტორის ბრძანება N86-21), რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტში ხორციელდება არაერთი პროგრამის შედგენა და განვითარება. წინამდებარე პროცესში ასევე გათვალისწინებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დადგენილი მოთხოვნები. პროგრამა შედგენილია ასევე უსდ-ში მოქმედი დოქტორანტურის დებულების მოთხოვნებისა და საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით.<br>პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცედურები მნიშვნელოვნად ემყარება კვლევებს. თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილია ბაზრის კვლევა, სადაც აღნიშნულია, რომ დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამის განმახორციელებლებს შრომის ბაზრის მიმართ კლასიკური წესებისა და მოთხოვნების გამოყენება არ მიაჩნიათ რეალურად. ამოსავალი საკითხები კვლევისთვის იყო, რამდენად საჭიროა თეოლოგიის პროგრამა და სად არის მისი ადგილი ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში, გაზიარებულ იქნა სხვა სახელმწიფოთა გამოცდილება, გაანალიზდა თეოლოგიის დოქტორთა დასაქმების შესაძლებლობები.<br>ბაზრის ანალიზის გაცნობის შემდგომ, ექსპერტთა ჯგუფისთვის დარჩა გარკვეული თემები ბუნდოვანი. ამავე დოკუმენტის მიხედვით, ანალიზის ავტორი აღნიშნავს, რომ დოქტორნატურის საგანმანათლებლო პროგრამა ამ დარგში ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მწირადაა წარმოდენილი, რაც განპირობებული მსურველთა დიდი რაოდენობით. თუმცა პროგრამების სიმწირე სავარაუდოდ განპირობებულია ამ მიმართულებით უფრო მცირე გამოცდილებით და ნაკლებად მსურველთა დიდი რაოდენობით, რის გამოც პროგრამის მომზადებამდე პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა გაანალიზეს უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გამოცდილებაც.<br>დამსაქმებლებთან კომუნიკაცია შედგა ფოკუს-ჯგუფების ფარგლებში და როგორც ანალიზის დოკუმენტშია მითითებული, პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა გაითვალისწინეს დამსაქმებელთა რეკომენდაციები. თუმცა წინამდებარე ჯგუფთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ წარმოდგენილ დამსაქმებლებს რაიმე კონკრეტული რეკომენდაცია პროგრამის მიმართ არ გამოუთქვამთ და პროგრამის ცნობადობაც არ იყო სიღრმისეული, ცალკეულმა მათგანმა ვერ განმარტა მოცემული კვალიფიკაციის მქონე პირის დასაქმება მათდამი დაქვემდებარებულ ინსტიტუციაში.<br>საგანმანათლებლო პროგრამის მნიშვნელობა უკეთესად იყო გააზრებული სამაგისტრო პროგრამის კურსამთავრებულთა შორის, რომელთაგან გარკვეულმა სტუდენტებმა გამოთქვეს ინტერესი საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ. რასაც ადასტურებს ფაქტი იმის შესახებ, რომ ამავე უსდ-ს |

| |
|---|
| თეოლოგიის მაგისტრს ჰქონდა კვალიფიკაციის ამაღლების მცდელობა დასავლეთ ევროპის ერთ-ერთი უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტზე. ის არათუ დოქტორანტურაში იქნა დაშვებული, არამედ დარგობრივი კომისიის შეფასებით და მიღებული კრედიტების აღიარების შემდგომ ის დაშვებულ იქნა მხოლოდ უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრის) მე-2-მე-3 სემესტრში, რაც ამყარებს ექსპერტთა მოსაზრებას და მსჯელობას დოქტორანტურაში მიღების წინა პირობის განსაზღვრასთან მიმართებით.<br>შრომის ბაზრის ანალიზის დოკუმენტი მოკლებულია დეტალებსა და კონკრეტულ მსჯელობას პროგრამასთან დაკავშირებით, რომელიც უნდა ემყარებოდეს ფოკუს-ჯგუფის მონაცემების ანალიზს. ყველა სხვა კვლევა ფუნდამენტური ვერ იქნებოდა, იმდენად რამდენადაც საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტება პირველად ხდება. ყველა წარმოდგენილი კვლევა დაკავშირებულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან თეოლოგია, რომლის თანახმადაც წარმოდგენა გვექმნება აკადემიური და მოწვეული პერსონალის კომპეტენციაზე და საუნივერსიტეტოს სერვისების შესახებ. ერთი მხრივ მაგისტრები რეალურად არიან პოტენციური დოქტორანტები, რომელთა შეფასებები მნიშვნელოვანია. წინამდებარე მექანიზმების არსებობა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ პერიოდულად დაწესებულების მხრიდან განორციელდება დაკვირვება საგანმანათლებლო პროგრამაზე, მისი შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.<br>საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი მოიცავს შემდეგ რუბრიკებს: აპლიკანტების პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, სასწავლო კურსების კრედიტმოცულობა (58 ECTS, რომელთა შორის 48 კრედიტი არის სავალდებულო კურსების მოცულობა, ხოლო 10 კრედიტის მოცულობის სასწავლო კომპონენტს სტუდენტი შეარჩევს არჩევითი სასწავლო კურსებიდან), სწავლა-სწავლების მეთოდები, სტუდენტთა შეფასების სისტემა (რომელშიც აღწერილია, როგორც სასწავლო კომპონენტის, ისე საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასების სისტემა), დასაქმების სფერო (ჩანაწერი ზოგადია და ბუნდოვანი).<br>პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს შორის ბმა მეტწილად იკითხება, კონკრეტულად იმ დოქტორანტთათვის, რომელთაც აქვთ თეოლოგიის მაგისტრის ხარისხი, ხოლო იმ აპლიკანტთათვის, რომელთა წინარეცოდნა ჩამორჩება თეოლოგიის მაგისტრის მქონე დოქტორანტთა მომზადებას, ექსპერტების მოსაზრებით, ნაკლებად შესაძლებელია.<br>პროგრამის წარმოდენილი სტრუქტურა არსებული მონაცემებით თანმიმდევრული და ლოგიკურია, შესაბამისად, სტუდენტი იწყებს შესავალი კურსებით (აკადემიური წერა და დისერტაციის არქიტექტონიკა, თეოლოგიური ჰერმენევტიკა და კვლევის მეთოდები), რასაც მოსდევს განმავითარებელი კურსები 2 კვლევითი დარგობრივი სემინარი. თუმცა პროგრამის თანდართულ რუკებში ექსპერტთა პოზიციით გადასახედია სასწავლო კურსებისა და პროგრამის შედეგების რუკა (რაც შედეგებზე მსჯელობის კომპონენტში უკვე აღინიშნა).<br>აქედან გამომდინარე რეალურად დარგობრივი ექსპერტები სტრუქტურისა და შენაარსის თანხვედრას აღიარებენ იმ შემთხვევაში, თუ დაშვების წინაპირობაში დარჩებოდა თეოლოგიის მაგისტრის ხარისხის მქონე აპლიკანტი ან გათვალისწინებული იქნება 2,1 კომპონენტში მოცემული რეკომენდაცია.<br>რაც შეეხება მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ის შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან წარმოდენილი მონაცემებით. თუმცა ამჟამად არსებული წინაპირობები ხელს უშლის პროგრამის შინაარსა და სწავლის შედეგების თანხვედრას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• საგანმანათლებლო პროგრამა;<br>• სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის *საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგიისა და მისი დამტკიცების წესი*;<br>• ბაზრის კვლევის ანალიზი;<br>• გამოკითხვების შედეგები<br>• ინტერვიუები. |
| **რეკომენდაციები:**<br>- რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის შინაარსი და სწავლის შედეგები და დაკორექტირდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობის განსაზღვრის შემდეგ, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევას; |

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრმა დარგის ექსპერტებმა დეტალურად განიხილეს და შეაფასეს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები, რომელთა შეთანადება მოხდა პროგრამის სწავლის შედეგებთან. სასწავლო კურსების ფორმალური მხარე მოწესრიგებულია, კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსობრივი ნაწილი, კრედიტმოცულობა გათვლილი სასწავლო პროცესზე და სწავლის შედეგები მეტწილად ესადაგება კურსის სასწავლო შედეგებს. თუმცა დარგობრივმა ექსპერტებმა გამოთქვეს კონკრეტული მოსაზრებები ცალკეული სასწავლო კურსების მიმართ, კერძოდ, მათ მიაჩნიათ, რომ ჰერმენევტიკის საკითხების გარდა კურიკულუმში არ იკითხება კონკრეტული თეოლოგიის კლასიკური დარგობრივი სფეროები, როგორიცაა ბიბლიური თეოლოგია, სისტემური თეოლოგია, ისტორიული თეოლოგია, პრაქტიკული თეოლოგია. ეს მაშინ როცა პროგრამის განმახორციელებლები საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობებში განიხილავენ აპლიკანტებს, რომელთაც შესაძლოა არც კი ჰქონდეთ წინა საფეხურის თეოლოგიური განათლება (ამასთან პროგრამაშიც არ იკითხება რაიმე დათქმა, რომლის თანახმადაც დოქტორანტი შეძლებდა ზემოხსენებულ დარგობრივ სფეროებში კომპეტენციის დაგროვებას). ამასთან თეოლოგიური ჰერმენევტიკის სასწავლო კურსის სილაბუსი ზოგადია. ლიტერატურის შესწავლის შემდეგ იქმნება შთაბეჭდილება, რომ უპირატესობა მინიჭებული აქვს რელიგიათმცოდნეობით/რელიგიის ფილოსოფიის თემებს და ჰერმენევტიკას, ხოლო ნაკლები ყურადღება ექცევა საეკლესიო-პატრისტიკულ ჰერმენევტიკას. ამდენად, მოცემული კურიკულუმი განიცდის თეოლოგიაში ჰერმენევტიკული მიდგომების და პრინციპების მრავალფეროვნების სიმწირეს. დარგის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ თეოლოგიის დარგობრივი სფეროები, რომლებშიც უნდა მომზადდეს სადოქტორო ნაშრომი, უნდა გაფართოვდეს და მოძიებულ იქნას აქტუალური კვლევითი ლიტერატურა.

სადოქტორო პროგრამის დანარჩენი სასწავლო კურსის სილაბუსებში ჩამოყალიბებული მიზნები მკაფიოდაა ფორმულირებული, რაც შესაბამისად აისახება საგნის შინაარსსა და სწავლის შედეგებში. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სადოქტორო პროგრამაში კრედიტები ერთგვაროვნად არაა გადანაწილებული, რის საფუძველს წარმოდგენს სასწავლო კურსების სპეციფიკა.

სასწავლო კურსების შერჩევა განაპირობა არსებული დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დადარების შედეგად მიღებულმა ანალიზმა და ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში დარგობრივი კვლევების აუცილებლობამ. მოცემული სასწავლო კურსების საფუძველზე ხდება კონკრეტული ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების თავმოყრა, რომელიც ხელს უნდა უწყობდეს

| |
|---|
| წარმატებულ დარგობრივ კვლევას. თუმცა ექსპერტთა მოსაზრებით იმ აპლიკანტთათვის, რომელთაც წინარეცოდნა არ უფიქსირდებათ დარგში, სასწავლო კურსების ამჟამინდელი მოცულობა არ არის მკმარი., თუ რამე კონკრეტული დათქმა არ გაიწერა კურიკულუმში მათთვის, რომელთა დარგის კომპეტენცია მხოლოდ კვლევითი პროექტით შემოიფარგლება დარგის ექსპერტთა კომისიის წინაშე.<br>კვლევითი კომპეტენციის განვითარებას ეტაპობრივად ემსახურება ოთხი სასწავლო კურსი, რომელთა შორისაა თეოლოგიური ჰერმენევიკა და კვლევის მეთოდები თეოლოგიაში, ასევე აკადემიური წერა და დისერტაციის არქიტექტონიკა, ეს უკანასკნელი ფორმალურ სტანდარტებს აწესრიგებს კვლევის პროცესში. კვლევითი უნარების ჩაღრმავების საშუალებას იძლევა ასევე 2 კვლევითი სემინარი, რომლის არსებობა საგანმანათლებლო პროგრამაში ემსახურება უშუალოდ კვლევითი უნარების დახვეწას და მომზადებას საკვალიფიკაციო ნაშრომზე სამუშაოდ, თუმცა კვლევითი სემინარის მომზადება ხდება დარგში და მისი თემა არ უნდა უკავშირდებოდეს საკვალიფიკაციო ნაშრომს, ასევე მითითებულია უშუალოდ ის დარგობრივი სფეროები, რომლის ფარგლებში სრულდება პროექტი, ეს არის თეოლოგიის ისტორია და სისტემური თეოლოგია. ამ თვალსაზრისით ექსპერტების მოსაზრებით პროგრამის განმახორციელებლები წინააღმდეგობრივად მსჯელობენ, კერძოდ, თუ ნაშრომი უნდა მომზადდეს ამ ორი მიმართულებით, მაშინ ერთ-ერთი კვლევითი პროექტი შემხებლობაში იქნება უცილობლად სადისერტაციო ნაშრომთან, ამ შემთხვევაში კი ირღვევა საგანმანთლებლო პროგრამაში ჩადებული დათქმა, რომ კვლევითი პროექტი არ უნდა ეხებოდეს საკვალიფიკაციო ნაშრომის თემას.<br>სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა მართალია, შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და თავის მხრივ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, მაგრამ ამ თემასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტებს არა აქვთ ერთგვაროვანი დამოკიდებულება. სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული დარგობრივი სასწავლო მასალა ექსპერტებმა მიიჩნიეს არც მაინცადამაინც უახლესად დარგის კვლევებში და მათ მიერ გაიცა რეკომენდაცია დარგობრივი ლიტერატურის განახლების შესახებ.<br>თუმცა მათ ასევე აღნიშნეს, რომ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე დოქტორანტურის სასწავლო კურსები დოქტორანტებს სთავაზობს ძირითად ლიტერატურას სამ უცხოურ ენაზე (ინგლისური, ფრანგული, გერმანული), რაც უშუალოდ უკავშირდება საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობას, რომლის თანახმად დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთ წინაპირობად მოიაზრება უცხოური ენის (ინგლისური/გერმანული/ფრანგული ენის არანაკლებ $B^2$ დონეზე) კომპეტენციის დადასტურება, რაც შეიძლება ჩაითვალოს საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთ საუკეთესო და მნიშვნელოვან პრაქტიკად.<br>სასწავლო კურსები, როგორც დარგობრივი ცოდნის გაფართოებისა და კვლევების უნარ-ჩვევების გაფართოების მნიშვნელოვანი წინაპირობა, მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის კვლევითი ნაშრომის მაღალკვალიფიციურ დონეზე შესრულების თვალსაზრისით. თუმცა ამ მოცულობით და შინაარსით მათი შეთავაზება გამართლებულად და შედეგის მომცემადაა ექსპერტთა მხრიდან მიჩნეული იმ დოქტორნატთათვის, რომელთაც დარგობრივი ცოდნა აქვთ მიღებული უმაღლესი განათლების წინა საფეხურებზე. პროგრამის შედეგების მიღწევა მოცემული სასწავლო კურსების ფარგლებში დარგობრივი ექსპერტთათვის კითხვის ნიშნებს ტოვებს დაშვების წინაპირობის ყველა სხვა შემთხვევისთვის, რის საფუძველზე ექსპერტთა რეკომენდაცია გულისხმობს დაშვების წინაპირობებისა და სასწავლო კურსების შედეგების თავსებადობაში მოყვანას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;<br>• თვითშეფასების ანგარიშები;<br>• ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. |
| **რეკომენდაციები:**<br>• მიზნობრივად და მიზანმიმართულად გაიწეროს სასწავლო კურსების (ორი 10 კრედიტიანი კვლევითი სემინარი) კრედიტ მოცულობა, კერძოდ, შეივსოს სასწავლო კომპონენტი დარგის ფუნდამენტური მიმართულებების კომპეტენციის მიმცემი სასწავლო კურსებით.<br>• სასწავლო კურსებში წარმოდგენილი ლიტერატურა პერმანენტულად შეივსოს დარგის უახლესი კვლევების ამსახველი სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურით. |

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>- |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>- |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>- |
| **შეფასება**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ***თეოლოგია*** მასალების, მათ შორის თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის გაცნობის, ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში გამართული ინტერვიუების ანალიზის შედეგად, ცხადი გახდა, რომ პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას და მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.<br>კურიკულუმის სტურუქტურაში მოცემული სასწავლო კურსების ფარგლებში დოქტორანტს საშუალება აქვს გაიღრმავოს თეორიული ცოდნა, გამოიმუშაოს აკადემიურ სივრცეში კომუნიკაციის უნარჩვევები და სრულყონ საკუთარი კვლევითი უნარები. კვლევითი უნარების სრულყოფა და დოქტორანტის დამოუკიდებელ მკვლევრად ჩამოყალიბება შესაძლებელია ჯერ კიდევ სასწავლო კურსების ფორმატში, ვინაიდან სტუდენტი დამოუკიდებლად ასრულებს თავის ორ დამოუკიდებელ კვლევით პროექტს, მუშაობს კრიტიკულ ლიტერატურაზე და შედეგების მიღების შემდგომ ნაშრომს წარადგენს აკადემიური წრეების წინაშე, მსჯელობს, არგუმენტირებულად ასკვნის და აკადემიური ეთიკის ფარგლებში შედის დარგობრივ კომუნიკაციაში. გარდა ამისა, კვლევითი და სამეცნიერო უნარების განვითარებას ხელს უწყობს სხვა სასწავლო კურსებიც, რომლებიც ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის კვლევით დავალებებს, გარკვეული მოცულობისა და განსხვავებული შინაარსის ნაშრომების შესრულებას. სამეცნიერო-კვლევითი, შემოქმედებითი უნარების განვითარება ყველაზე სრულყოფილად ხორციელდება საკვალიფიკაციო ნაშრომზე მუშაობისას, სადაც დოქტორანტი ავლენს დამოუკიდებლობის, დარგობრივი კომპეტენციის, ისევე როგორც კვლევითი და შემოქმედებითი უნარების ყველაზე მაღალ ხარისხს. წინამდებარე კომპეტენციებისა და უნარების გაღრმავება შესაძლებელია კვლევითი სტატიების (3 კვლევითი სტატია) მომზადების პროცესში, რომელთა პუბლიცირება რეკომენდებულია სკოპუსში ინდექსირებულ და ერთიც ერიხ პლუს ან ინდექს კოპერნიკუსში ინდექსირებულ სამეცნიერო პერიოდიკაში.<br>დოქტორანტის პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი, შემოქმედებითი, საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას ხელს უწყობს უნივერსიტეტსა და მის პარტნიორ ინსტიტუციებს შორის გაფორმებული მემორანდუმების ინფრასტრუქტურა და პოტენციალი, სადაც დოქტორნატს შესაძლებლობა ეძლევა კვლევითი სტაჟირების ფარგლებში იმუშაოს არამხოლოდ საკვალიფიკაციო ნაშრომზე, არამედ ნებისმერ კვლევით პორექტზე.<br>საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კურსდამთავრებულს საშუალება აქვს დამოუკიდებლად იკვლიოს, შესაბამისად, სამეცნიერო სემინარის ფარგლებში ორი მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიით წარმართოს საკუთარი კვლევითი საქმიანობა, დამოუკიდებლად შეარჩიოს საკვლევი საკითხი ჯერ კიდევ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვებამდე და შევიდეს დისკუსიაში დარგობრივ |

კომისიასთან, წარადგინოს ჰიპოთეზა, იმსჯელოს არგუმენტებზე დაყრდნობით და გამოტანილი დასკვნების საფუძველზე შეუქმნას დარგობრივ კომისიას სრული წარმოდგენა მისი დარგობრივი კომპეტენციების, კვლევითი ჩვევებისა და აკადემიური ეთიკის ფარგლებში დისკუსიის უნარის თაობაზე.
უნივერსიტეტი ასევე უზრუნველყოფს დოქტორანტთა მხარდაჭერას ექსკლუზიურ სამეცნიერო მივლინებებში, კონფერენციებზე, ტრენინგებსა და სემინარებზე, რაც ასევე დაადასტურეს აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებზში ინტერვიუზე მოწვეულმა სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებმა. დოქტორანტებს ასევე შესაძლებლობა მიეცემათ ჩაერთონ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, რომელთაც ხელმძღვანელობას გაუწევენ დარგის კვალიფიციური სპეციალისტები.
სტუდენტთა კვლევითი უნარების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტს აქვს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მათთვის საუნივერსიტეტო სივრცეში ასევე გამოყოფილია სამუშაო სივრცე.
ცალკეული სამეცნიერო პროექტების ფარგლებში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ნაშრომების/მონოგრაფიების, პროფესორ-მასწავლებლების ხელმძღვანელობით შემუშავებული სტატიების, კვლევების პუბლიცირების მარდაჭერას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- უნივერსიტეტში მოქმედი დოქტორანტურის დებულება;
- მემორანდუმები;
- ინტერვიუები;

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება**

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სასწავლო პროგრამის მიზნებით გათვლილი შედეგების მიღწევა შესაძლებელია სწავლებისა და სწავლის პროცესის რეალური და მიზანმიმართული მეთოდოლოგიური ჩარჩოს შერჩევით. ექსპერტთა ჯგუფი დეტალურად გაეცნო, ერთი მრივ, საგანმანათლებლო პროგრამასა და მეორე მხრივ, ცალკეულ სასწავლო კურსებში აღწერილ მეთოდთა ჩამონათვალს. პროგრამის განმახორციელებლები მიზნად ისახავენ სწავლა-სწავლების მეთოდური ხედვის ფარგლებში სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სასწავლო პროცესზე რეალურად მისადაგებას, ამასთან ეს ჩამონათვალი უშუალოდ ასახავს სწავლების საფეხურის მოთხოვნებს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებსა და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და მასზე ორიენტირებული შედეგების მიღწევას.
გამომდინარე იქიდან, რომ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა ორ მნიშვნელოვან აკადემიურ პროცესს მოიცავს, სახელდობრ, სასწავლოსა და კვლევითს, ბუნებრივია, სწავლა-

| |
|---|
| სწავლების მეთოდები, ითვალისწინებს და ფარავს ორივე კომპონენტისთვის რელევანტურ მიდგომებს, როგორიცაა, ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი და ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვ. მსგვ. თითოეული სასწავლო კურსი ირჩევს და იყენებს იმ კონკრეტულ მეთოდს, რომელიც უზურნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და სასწავლო პროცესის მაღალ ხარისხში წარმართვას და შესაბამისად, წინამდებარე პროგრამის ფარგლებში შესაბამისი ცოდნის უნარებისა და კომპეტენციების გამომუშავებას. სწავლისა და სწავლების მეთოდების შერჩევა ხდება ცალკეული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, რაზეც პასუხისმგებლობას იღებს აკადემიური პერსონალი, რომელსაც აკადემიური მოღვაწეობის და კონკრეტულად კი სწავლების ხანგრძლივი და მრავალფეროვანი გამოცდილება აქვს.<br>უნივერსიტეტი აგრეთვე ხელს უწყოს აკადემიურ პერსონალს პროფესიულ განვითარებაში და სთავაზობს მათ ტრინინგებსა და სემინარებს. სწავლების თანამედროვე მეთოდების მიმართულებით (ERASMUS+ პროექტის *Sustainable learner-centred Teaching – Advamced Secource for Georgia an China.*) უკანასკნელ ხანს განხორციელდა აკადემიური პერსონალის გადამზადება, რომლის ფარგლებში აქცენტი გაკეთდა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების გაცნობაზე.<br>აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო პროცესში გამოყენებულია კლასიკური მეთოდებიდან: *სწავლების ინდუქციური, დედუქციური, ახსნა-განმარტებითი, წერითი მუშაობის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისა და გონებრივი იერიშის და* სხვა მეთოდები. ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდები ერთიანობაში სტუდენტს აძლევს შემოქმედებით, სისტემურ, ანალიტიკურ ცოდნასა და შესაბამის კვლევით უნარებს, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.<br>წინამდებარე სწავლისა და სწავლების მეთოდები გამოიყენება არამარტო სალექციო-სასემინარო ფორმატში დანიშნულებისამებრ, არამედ მათი ჩართვა ხდება შერჩევით ინდივიდუალური საჭიროების მქონე სტუდენტებთან სასწავლო პროცესში. კურსის ავტორი სტუდენტს, რომელსაც ინდივიდუალური საჭიროება აქვს, მისივე ჩართულობით უდგენს და მოთხოვნისდამიხედვით ურჩევს სასწავლო გეგმასთან მიმართებით სწავლა-სწავლების მეთოდებსაც. მსგავსი აქტივობა ხორციელდება არცთუ იშვიათად, ვინაიდან საკუთრივ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა ერთგვარად დიდი წილით ატარებს ინდივიდუალური მუშაობის ნიშნებს.<br>რადგან წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა ახალია, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ისარგებლებს უსდ-ში დამკვიდრებული ყველა იმ გამოცდილებით, რაც უკვე აპრობილებულია უკვე არსებული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;<br>• Erasmus+ პროექტების ვებგვერდი: https://star.ped.muni.cz/partners/georgia. |
| **რეკომენდაციები:**<br>- |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>• |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>- |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>- |
| შეფასება<br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.6. სტუდენტების შეფასება |
|---|
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაში *თეოლოგია* სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე სასწავლო კომპონენტში ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 შესაბამისად.

სასწავლო კურსების თითოეულ სილაბუსში გაწერილია შეფასების ფორმები როგორც შუალედური (ერთჯერადი/მრავალჯერადი) ისე დასკვნითი, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (მაქს. 100 ქულა). შეფასების მეთოდები მოიცავს აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, სტატიის მიმოხილვას, ესეს, პრეზენტაციას, კვლევით პროექტს, შემაჯამებელ ნაშრომს და ა.შ. თითოეული კურსის შეფასების კრიტერიუმები და ქულათა გადანაწილება დეტალურადაა მოცემულია კურსების სილაბუსებში. დადგენილი წესის შესაბამისად, სტუდენტისთვის კრედიტის მინიჭება ხდება მხოლოდ დადებითი შეფასების დაფიქსირების შემთხვევაში. შეფასების სისტემა ცნობს 5 სახის დადებით, ხოლო ორი ტიპის უარყოფით შეფასება. ამ უკანასკნელიდან პირველის (Fx-ვერ ჩააბარა) შემთხვევაში სტუდენტს საშუალება ეძლევა 5 კალენდარული დღის ვადაში განმეორებით ეძლევა საშუალება გავიდეს გამოცდაზე.

შუალედური და დასკვნითი შეფასებები მულტიკომპონენტურია, რომელიც განსაზღვრავს რა სტუდენტის ცოდნას ან/და უნარს ან/და კომპეტენციებს, იყენებს სხვადასხვა ტიპის შეფასების ხერხებს (ზეპირი ან წერითი გამოცდა (ან გამოკითხვა), საშინაო დავალება, პრაქტიკული სამუშაო და მსგვ.). შეფასების კომპონენტები გულისხმობს კონკრეტულ მეთოდებს: *ტესტი, ესსე, პრეზენტაცია, პრაქტიკული/თეორიული დავალება, ჯგუფური სამუშაო, პრეზენტაცია, დემონსტრირება, დისკუსია, აქტივობა სამუშაო ჯგუფში.* შეფასების მეთოდები იზომება კონკრეტული კრიტერიუმებით, რაც აჩვენებს სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

შეფასების ცალკეულ კომპონტს საერთო ქულიდან მინიჭებული აქვს კონკრეტული ხვედრითი წილი საბოლოო შეფასების ფარგლებში. შეფასების სისტემა სტუდენტისთვის ცნობილი ხდება სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე, მას შემდეგ, რაც ის ეცნობა სასწავლო კურსის სილაბუსს. სტუდენტს სასწავლო კომპონენტში კრედიტი ენიჭება დადებითი შეფასების დაფიქსირების შემთხვევაში. სასწავლო კურსების შესაბამის რუბრიკაში ასევე განსაზღვრულია შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც არ არის ერთგვაროვანი და დამოკიდებულია სასწავლო კურსის სპეციფიკაზე.

უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში სტუდენტს მიეწოდება სასწავლო კურსის სილაბუსი, საიდანაც სტუდენტი დეტალურად ეცნობა სასწავლო კურსის მოთხოვნებს როგორც შინაარსობრივი, ისე ფორმალური თვალსაზრისით. ამავე პლატფორმაზე სტუდენტი ეცნობა სასწავლო მასალას, რომლის მიწოდებაც დროულად და ეფექტურად ხდება სასწავლო დისციპლინაზე დარეგისტრირებული სტუდენტისთვის. წინამდებარე ელექტრონული სისტემა საშუალებას იძლევა სტუდენტმა თვალყური ადევნოს საკუთარ მოსწრებას და, შეიმუშაოს სწავლის შედეგების გაუმჯობესების გეგმა და ქმედითი ღონისძიებები.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა ცნობს ასევე სხვა ტიპის შეფსების სისტემას, რომელიც განკუთვნილია კვლევითი ნაშრომის შეფასებისთვის. შეფასების ეს სკალა გულისხმობს:

დისერტაციის შეფასებისთვის გამოიყენება ხუთი დადებითი და ორი უარყოფითი შეფასება.

დისერტაციის დადებითი შეფასებაა:

ა. **ფრიადი (summa cum laude)** – შესანიშნავი ნაშრომი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ბ. **ძალიან კარგი (magna cum laude)** – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

გ. **კარგი (cum laude)** – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

დ. **საშუალო (bene)** – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ე. **დამაკმაყოფილებელი (rite)** – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

საკვალიფიკაციო ნაშრომის უარყოფით შეფასებაში განიხილება:

ა. **არადამაკმაყოფილებელი (insufficienter)** – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 41- 50%;

ბ. **სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone)** – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები.

| |
|---|
| დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დისერტაცია მიიჩნევა დაცულად.<br>არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. ამ მიზნით, მას უფლება აქვს შედეგის გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში სადისერტაციო საბჭოს სამდივნოს წარუდგინოს განცხადება ნაშრომის გადამუშავებისა და დისერტაციის განმეორებითი დაცვის მოთხოვნით.<br>სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას და უწყდება დოქტორანტის სტატუსი.<br>დისერტაციის შეფასება მოხდება ერთჯერადად და კომისიური წესით, დაცვის პროცესი მიმდინარეობს საჯაროდ. კომისიაში გარე შემფასებლის მონაწილეობა სავალდებულო ნაწილია დაცვის პროცედურის, ისევე როგორც საკვალიფიკაცი ნაშრომის რეცენზირება გარე შემფასებლის მიერ, რაც დაცვის პროცესს კიდევ უფრო გამჭვირვალესა და სამართლიანს ქმნის.<br>რაც შეეხება სადისერტაციო ნაშრომს, მასთან დაკავშირებული დეტალები, მათ შორის შეფასების სისტემა გაწერილია სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სადოქტორო დებულებაში (დამტკიცებულია: სადისერტაციო საბჭოს N01-21 გადაწყვეტილებით; 21.04.2021) და თეოლოგიის სადოქტორო პროგრამით. სადისერტაციო ნაშრომი, დასრულების შემდეგ, შეფასებისთვის ეგზავნება ორ რეცენზენტს, რომეთაგან ერთ-ერთი მაინც არ უნდა იყოს დარგობრივი სადისერტაციო კოლეგიის წევრი. უნივერსიტეტის სადისერტაციო დებულების თანახმად, რეცენზენტები დოქტორანტს აფასებენ მხოლოდ დარგობრივი კვლევის შედეგებით, მათი მხრიდან, ნაშრომისთვის ქულის მინიჭება არ ხდება. რეცენზენტები იღებენ გააწყვეტილებას დაუშვან თუ არა დისერტანტი დაცვაზე. სადისერტაციო ნაშრომი და რეცენზენტთა დასკვნები ეგზავნება სადისერტაციო საბჭოს. სწორედ ამ საფეხურზე ხდება ნაშრომისთვის ქულის მინიჭებაც. სადისერტაციო კომისიის წევრები, ერთჯერადად, კონფიდენციალურად, 100 ქულიანი სისტემით აფასებენ დისერტაციას. შეფასებათა საშუალო არითმეტიკულის გამოყვანის შედეგად (ამ სამუშაოს ასრულებს კომისიის მიერ წინასწარ არჩეული სადისერტაციო მდივანი), ხდება საბოლოო შეფასების მინიჭება.<br>თვითშეფასებაზე დართული დოკუმენტებისა და ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფს სრული წარმოდგენა შეექმნა სტუდენტთა შეფასების ღია და გამჭვირვალე პროცესებზე. საკუთრივ შეფასების პროცედურები დარეგულირებულია კანონმდებლობის ფარგლებში და ემყარება სამართლიანობის პრინციპს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;<br>• დოქტორანტურის დებულება;<br>• სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება;<br>• სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა;<br>• ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები. |
| **რეკომენდაციები:**<br>- |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>- |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>- |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>- |
| შეფასება<br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია | მეტწილად | ნაწილობრივ | არ არის |
|---|---|---|---|---|

| | მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | | | ✓ |

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში, თეოლოგიის სადოქტორო პროგრამა ახალია, შესაბამისად, ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ამავე უნივერსიტეტის სამაგისტრო და საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, რათა შექმნილიყო ერთიანი წარმოდგენა სტუდენტთა მიერ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, სწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე და ყველა იმ სერვისზე, რასაც უნივერსიტეტი სთავაზობს სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს.<br>დოქტორანტურის საგანმანათლო პროგრამა თავის მხრივ, სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისაგან განსხვავებით მეტწილად აგებულია ინდივიდუალური კონსულტირების პრინციპზე, რაც მოცემულ პროგრამაში კარგად ჩანს როგორც ცალკეულ სასწავლო კურსებში, ისე დოქტორანტების ხელმძღვანელების გაწერილ უფლება-მოვალეობებში. მნიშვნელოვანია ასევე სადოქტორო პროგრამების კოორდინატორების ფუნქციები, რომელთა მეშვეობით დოქტორანტებს წვდომა აქვს საგანმანათლებლო პროგრამების ნებისმიერ თემაზე, სასწავლო პროცესების მიმდინარეობასა და ექსტრაკურიკულურ აქტივობებზე. რაც შეეხება დოქტორანტურის სკოლას, ის მუდმივად აზიარებს ინფორმაციას, რომელიც უკავშირდება დარგში სიახლეების გაცნობას, საინტერესო დარგობრივი ვორკშოპებისა და სემინარების, საჯარო ლექციების შეთავაზებას, საერთაშორისო კონფერენციების მოძიებასა და გაზიარებას, დარგში უახლესი ინფორმაციის გადაცემას დაინტერესებულ პირთათვის.<br>წინამდებარე შეფასების პროცესში გარდა თვითშეფასების ანგარიშზე თანდართული დოკუმენტებისა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სააკრედიტაციო პროცესში წარმართულმა ინტერვიუებმა. შეჯერებული მასალებისა და ინტერვიუების შედეგებმა აჩვენა, რომ უნივერსიტეტს აქვს საკმარისი რესურსი ხარისხიანი და გამართული ადმინისტრაციული სერვისები შესთავაზოს პროგრამის სტუდენტებს. მით უფრო, რომ საკუთრივ თვითშეფასების ანგარიშში სტანდარტების ცალკულ კომპონენტებში ინსტიტუცია ადასტურებს უნივერსიტეტის პრიორიტეტულ თემას, კერძოდ, სტუდენტის საკონსულტაციო მომსახურეობას. ეს სერვისები სტუდენტებს მიეწოდება სხვადასხვა დონეზე, კერძოდ, სტუდენტების მხარდაჭერა ხორციელდება სასწავლო პროცესის დაგეგმის, პროგრამაზე დაშვების, კვლევისა და გარკვეულწილად კარიერული განვითარების მიმართულებით. შესაბამისი ადმინისტრაციული სამსახურები მუდმივ რეჟიმში აწვდიან ინფორმაციას დაგეგმილი აქტივობების შესახებ მეილების, ვებ-გვერდის საშუალებით.<br>სტუდენტთა კონსულტირების ასეთი ფართო ქსელის არსებობა დაადასტურეს სტუდენტებმა |

| |
|---|
| ინტერვიუირების პროცესში. სახელდობრ, ვიზიტის დროს გამოკითხული სტუდენტები აღნიშნავდნენ, რომ მათთვის ხელმისაწვდომია ინდივიდუალური საკონსულტაციო საათები (რომელიც ასევე ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებშიც ინდივიდუალურად უფიქსირდებათ) მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ. შეფასების სისტემა გამჭვირვალე და სამართლიანია. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ იციან და იყენებენ არასასურველი შეფასების გასაჩივრების მექანიზმებს.<br>კარიერულ და დასაქმების საკითხებთან დაკავშირებით, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტურ საქმეთა სამსახური, რომელიც მზად არის კონსულტაცია გაუწიოს დაინტერესებულ პირებს კარიერულ საკითხებზეც. ამავე სერვისის მხარდაჭერით ორგანიზებულია საინფორმაციო და სამუშაო შეხვედრები სხვადასხვა თემებზე (შეხვედრები: სტუდენტები და სხვადასხვა მსხვილი კომპანიების წარმომადგენლები, დარგის ექსპერტები გამოცდილების გაზიარების მიზნით). ეს სამსახური არის ის ადგილი, სადაც ხდება ახალი იდეებისა და პროექტების მხარდაჭერა იქნება ეს სოციალური, თუ საქველმოქმედო, სახელოვნებო და შემოქმედებითი. სამსახური ინიციატივის წამდგენ სტუდენტურ ჯგუფებთან ერთად გეგმავს პროექტებს. წინმადებარე პროცესებში აქტიურად ერთვებიან სასწავლო პროცესის მართვის, სტუდენტურ საქმეთა სამსახურები, სადოქტორო სკოლა, აკადემიური პერსონალი.<br>უნივერსიტეტის საერთაშორისო თანამშრომლობის და კვლევითი პარტნიორობის გათვალისწინებით, დოქტორანტებს საშუალება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში და საერთაშორისო კონფერენციებში, მათ შორის ერაზმუს+ პროექტის ფარგლებში ორმხრივ მემორანდუმებზე დაფუძნებული გაცვლითი პროგრამების, კათოლიკური აკადემიური გაცვლი სამსახურის საგრანტო კონკურსებისა და სლოვაკეთისა და პოლონეთის რესპუბლიკების მცირე გრანტებით ისწავლონ და იკვლიონ უცხოურ ინსტიტუციებსა და უნივერსიტეტებში.<br>სტუდენტთა მხარდაჭერა სტიპენდიებით შესაძლებელია საკუთრივე უნივერსიტეტის მხრიდან, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ღონისძიებები ახალგაზრდა მკვლევართა ხელშეწყობისა და წახალისების მიზნით. გარდა სტიპენდიისა წახალისების მიზნით უნივერსიტეტი აორგანიზებს საინტერესო კვლევებისა და ნაშრომების პუბლიცირებას როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ სამეცნიერო პერიოდიკაში.<br>უნივერსიტეტის სივრცეში დოქტორანტებს ხელი მიუწვდებათ როგორც ბიბლიოთეკის ცენტრალურ დარბაზზე, ასევე, მცირე სამკითხველო დარბაზებზე, სადაც მათზე ორიენტირებულ გარემოში შეძლებენ საკვლევ ნაშრომზე მუშაობას. მათთვის ხელმისაწვდომი იქნება უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო და ონლაინ რესურსები.<br>უნივერსიტეტში დანერგილია აკადემიური კეთილსინდისიერების ამაღლების ხელშემწყობი აქტივობები. ისინი იყენებენ პლაგიატის ამომცნობ სისტემას, სადაც ნაშრომების გატარება ყველა სტუდენტისთვის სავალდებულოა.<br>ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე დოქტორნატურის საგანმანათლებლო პროგრამის პოტენციურ სტუდენტს პროგრამაზე ჩარიცხვის დღიდანვე საშუალება ექნება მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია სასწავლო და კვლევითი პროცესების, საუნივერსიტეტო სერვისების შესახებ ამომწურავად, ასევე ინტენსიური კონსულტაცია მეცნიერ-ხელმძღვანელისგან და ისარგებლოს უნივერსიტეტის მხრიდან კარიერული განვითარების მარდაჭერით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• თვითშეფასების ანგარიში;<br>• საგანმანათლებლო პროგრამა;<br>• სტიპენდიის გაცემის წესი;<br>• სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, შეფასებისა და ხელშეწყობის წესი;<br>• პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;<br>• პარტნიორი ინსტიტუციების მემორანდუმები;<br>• ვიზიტის პროცესში მიმდინარე ინტერვიუები;<br>• უნივერსიტეტის ვებ-გვერდი. |
| **რეკომენდაციები:**<br>- |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>- |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |

| – |
| --- |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>– |
| შეფასება<br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა |
| --- |
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში, დოქტორანტთა ხემძღვანელობის პრცედურებს არეგულირებს უნივერსიტეტში შემუშავებული დოქტორანტურის დებულება. დოქტორანტის ხელმძღვანელობა შეუძლია დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირებს. დოქოტორანტი ხელმძღვანელს ირჩევს საკვლევი თემის სპეციფიკის გათვალისწინებით და იგი უფლებამოსილია ჰყავდეს თანახელმძღვანელი (ქართველი ან უცხოელი). ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორანტის მიერ არჩეული მიმართულებით თანამედროვე კვლევები და პუბლიკაციები.<br>დოქტორანტის ხელმძღვანელი, სადისერტაციო დებულების შესაბამისად, ვალდებულია კონსულტაცია გაუწიოს სტუდენტს (მათ შორის სავალდებულო საკონსულტაციო საათებით, რომელიც კონტროლდება სადოქტორო სკოლის და სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მხრიდან) კვლევასთან დაკავშირებული, მისთვის საჭირო ყველა მიმართულებით. იქნება ეს შინაარსობრივი თუ ტექნიკური ნაწილი, არქიტექტონიკა და სხვა.<br>თეოლოგიის პროგრამას ჯერ დოქტორანტები და დარგში შესრულებული სადისერტაციო ნაშრომები არ აქვს, თუმცა პროგრამაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაციის და დარგში მათი მოღვაწეობის საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ისინი საგანმანათლებლო პროგრამის ამჟამინდელი მოცემულობით ჯეროვან ხელმძღვანელობას გაუწევენ დოქტორანტებს.<br>ყველაზე მნიშვნელოვანი სერვისი, რაც სადოქტორო სკოლას აქვს უნივერსიტეტში ეს არის აკადემიური კვლევის დაგეგმვისა და განვითარების მენჯერი და მისი ორგანიზებული პროცესები დოქტორნატურის პროგრამების დოქტორანტთათვის. ეს უკანასკნელი სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად კოორდინირებას უწევს დოქტორანტის მიერ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობას, ასევე კონკრეტული კვლევების პუბლიცირებას, მათ ჩართულობას საბაუნის კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრების საქმიანობაში.<br>წარმოდგენილი მასალების გაცნობის საფუძველზე ექსპერტები თვლიან, რომ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაში სასურველია აღწერილი იყოს ის მნიშვნელოვანი და ძირითადი კვლევითი მიმართულებები, რაზეც იმუშავებენ პოტენციური დოქტორანტები, რაც ამავდროულად მათ გაუმარტივებს პროგრამაზე დაშვებამდე ექსპოზეს წარდგენას, რომლის ფარგლებში უნდა წარმოჩნდეს დოქტორანტის პირველადი კვლევითი უნარები და დარგობრივი ცოდნა.<br>საუნივერსიტეტო სადოქტორო სკოლის მნიშვნელოვან და გასაზიარებელ პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს აკადემიური კვლევის დაგეგმვისა და განვითარების მენეჯერის ჩართულობა აკადემიურ პროცესებში, რომელიც აორგანიზებს დოქტორანტის აკადემიურ აქტივობას და ხელს უწყობს მისი სასწავლო კვლევითი პროცესების შედეგების წარმატებულად დასრულებას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>• საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;<br>• დოქტორანტურის დებულება;<br>• აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები. |
| **რეკომენდაციები:** |

| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
|---|
| • სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში ფიქსირდებოდეს ასევე ის ძირითადი კვლევითი მიმართულებები, რომელიც პოტენციურ დოქტორანტებს წარმოუდგენს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევით პრიორიტეტებს. ზემოხსენებული ჩანაწერის არსებობა საგანმანათლებლო პროგრამაში პოტენციურ დოქტორანტებს ხელს შეუწყობს პროგრამაზე დაშვებამდე დარგობრივი კომისიის წინაშე წარმატებით წარადგინონ დისერტაბელური კვლევითი პროექტი (ექსპოზე). |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>საუნივერსიტეტო სადოქტორო სკოლის მნიშვნელოვან და გასაზიარებელ პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს აკადემიური კვლევის დაგეგმვისა და განვითარების მენეჯერის ჩართულობა აკადემიურ პროცესებში, რომელიც დოქტორანტთა ხელმძღვანელთან კოორდინაციით აორგანიზებს დოქტორანტის აკადემიურ აქტივობას და ხელს უწყობს მისი სასწავლო კვლევითი პროცესების შედეგების წარმატებულად დასრულებას. |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>- |
| **შეფასება**<br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1 ადამიანური რესურსი |
|---|
| ➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;<br>➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული |

ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

დარგობრივი ექსპერტები დეტალურად გაეცნენ დარგის წამყვანი აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებსა და რეზიუმეებს. მათი კვლევებისა და კომპეტენციების მიხედვით სასწავლო კურსების ხელმძღვანელებს აქვთ დარგში კვლევიებისა და პრაქტიკული აქტივობების სათანადო გამოცდილება აკადემიურ სივრცეში, რაც იმითაც დასტურდება, რომ უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების მე-6 და მე-7 დონეზე ანხორციელებენ საგანმანათლებლო პროგრამებს, რაც მნიშვნელოვანი და ეფექტური ტრადიციაა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ერთი ინსტიტუციის ფარგლებში წარმატებულად განხორციელებისათვის.
აკადემიური პერსონალის კვალიფიციურობის გარანტიაა არამხოლოდ მისი გამოცდილება, არამედ უნივერსიტეტში არსებული პერსონალის დასაქმების პოლიტიკა, სახელდობრ, აკადემიურ თანამდებობაზე ინიშნება დარგის სპეციალისტი, რომელიც პოზიციას იკავებს ღია კონკურსის წესით. კონკურსის ღიაობა კი, თავის მხრივ გულისხმობს, პროცესის გამჭვირვალობას, თანასწორობასა და საკონკურსოდ განსაზღვრულ კონკურსის სამართლიან პროცედურებს, რომლის პირობები დეტალურადაა გაწერილი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ საკონკურსო დებულებაში. თუმცა უნივერსიტეტი ასევე უშვებს იმ გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც კონკრეტული დარგის სპეციალისტის აყვანა ხდება დანიშვნის წესით, რაც თავის მხრივ გულისხმობს მეტწილად თანამშრომლის შიდა გადაადგილებას, რეკომენდებული კანდიდატის აყვანას ან დასაქმების სააგენტოს მიერ შერჩეული კანდიდატის დანიშვნას და ა.შ., რასაც რიგ შემთხვევებში განსაზღვრავს უნივერსიტეტის მუშაობის პრინციპი.
მოწვეული პერსონალის შერჩევას ასევე საფუძვლად უდევს ღია კონკურსი, ან პირდაპირი დანიშვნა, რაც განისაზღვრება უნივერსიტეტის პერსონალის შერჩევისა და დაქირავების წესით. მოწვეული პერსონალის პირდაპირი შერჩევის საფუძველი უნდა გახდეს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, ან ფაკულტეტის დეკანის/სადოქტორო სკოლის რეკომენდაცია, რასაც წინ უსწრებს მისი რეზიუმეს დეტალური განხილვა, რიგ შემთხვევაში კი საჩვენებლი ლექციის ჩატარება.
კვლევითი პროცესის ხელმძღვანელად კი ფიქსირდება ის დოქტორი, რომელიც მოცემულია სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული თეოლოგიის სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა დარგობრივ ნუსხაში. თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტური მასალებისა და ინტერვიუს საფუძველზე, ამავდროულად აკადემიური პერსონალის რეზიუმებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების თანახმად და დარგის ექსპერტთა მოსაზრებით მნიშვნელოვანია, რომ ნაშრომების ხელმძღვანელებს ჰქონდეთ არამხოლოდ კვლევები დარგში არამედ თეოლოგიის დოქტორის სამეცნიერო/ან აკადემიური ხარისხი.
წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 6 პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი და 9 მოწვეული ლექტორი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობა არის 22, რომელთაგან 6 აფილირებული პერსონალია, მათგან 5 აფილირებული პროფესორი, 1 აფილირებული ასოცირებული პროფესორი. მაგრამ, ვინაიდან პროგრამაში არ არის გაწერილი თეოლოგიის ძირითადი მიმართულებები (იხ. 2.1 კომპონენტის აღწერილობა და რეკომენდაცია), რომელშიც შეძლებენ აპლიკანტები სადისერტაციო ნაშრომის შესრულებას, ამდენად არსებული ადამიანური რესურსი არ არის მკმარი, რათა მოიცვას თეოლოგიის დარგის ყველა ძირითადი მიმართულება. აქვე აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ნაწილს აქვს აკადემიური ხარისხის და გამოცდილება არა თეოლოგიის სფეროში, არამედ სხვადასხვა მიმართულებით.
აკადემიური პერსონალის მეტი წილი აფილირებულია, რაც შეეხება მოწვეულ პერსონალს მათი დასაქმება საგანმანათლებლო პროგრამაში იმით არის გამოწვეული, რომ მათ უნივერსიტეტთან ნაყოფიერი და ხანგრძლივი კომუნიკაცია აკავშირებს. არსებული სტატისტიკური მონაცემებით,

| |
|---|
| თანაფარდობა (13/9) ძირითად და მოწვეულ პერსონალს შორის იძლევა პროგრამის მდგრადობის საფუძველს, თუმცა თეოლოგიის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის შემდეგ (იხ. კომპ.2.1), მათი რაოდენობა არ არის საკმარისი.<br>აკადემიური პერსონალი ფლობს სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს თეოლოგიის იმ მიმართულზებში, რომლებშიც ახორციელებენ სამეცნიერო-აკადემიურ მოღვაწეობას, ინფორმაცია დგინდება მათი კვლევებითა (5 წლის სამეცნიერო ნაშრომებით) და აკადემიური მოღვაწეობით.<br>რაც შეეხება პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტნეციებსა და კვალიფიკაციას, ის სრულად აკმაყოფილებს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. მას აქვს ადმინისტრირების განოცდილების ხანგრძლივი ისტორია, ამასთანავე თეოლოგიური განათლება მიღებული ევროპის უნივერსიტეტებში (ლუბლინის კათოლიკური უნივერსიტეტი, ვესტფალიის ვილჰელმის მიუნსტერის უნივერსიტეტი), აქვს 15-წლიანი პედაგოგიური გამოცდილება უმაღლესი განათლების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე სხვადასხვა უნივერსიტეტში. ასევე მისი ნაშრომები თეოლოგიურ ანთროპოლოგიაში იბეჭდება როგორც ქართულ, ისე უცხოურ სამეცნიერო პერიოდიკაში. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფს პროგრამის ხელმძღვანელის პერსონალური მონაცემები მიაჩნია დამაკმაყოფილებლად პროგრამის წარმატებული მართვისათვის, თუმცა მისი ადმინისტრაციული დატვირთვა, როგორც უნივერსიტეტის რექტორის, კითხვის ქვეშ აყენებს მისი აკადემიური საქმიანობის სრულყოფილად წარმართვას.<br>პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა (45) საკმარისია და ფარავს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მოთხოვნებს. ჩართულია 45 ადმინისტრაციული პერსონალი, რაც საკმარისია პროგრამის 3 წლის განმავლობაში შესაძლო აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტის მომსახურებისათვის. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;<br>• დოქტორანტურის დებულება;<br>• აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემები;<br>• ადმინისტრაციული პერსონალის პირადი მონაცემები;<br>• აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობრივი განსაზღვრის მეთოდოლოგია;<br>• უნივერსიტეტის სტურქტურული ერთეულების/ცალკეული პერსონალის სამუშაოს აღწერილობები;<br>• აკრედიტაციის პროცესში განხორციელებული ინტერვიუები. |
| **რეკომენდაციები:**<br>• რეკომენდებულია რომ დოქტორანტთა ნაშრომების ხელმძღვანელებს ჰქონდეთ არამხოლოდ კვლევები დარგში არამედ თეოლოგიის დოქტორის სამეცნიერო/ან აკადემიური ხარისხი;<br>• რეკომენდებულია გაიზარდოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, რათა კვლევების კომპონენტში შესაძლო გახდეს თეოლოგიის ძირითადი მიმართულებების სრულად მოცვა. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის :**<br>• სასურველია უსდ-მ ჩამოაყალიბოს თეოლოგიის მიმართულებით ცალკე ადმინისტრაციული ერთეული ფაკულტეტის ან სკოლის სახით, რაც დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე გაზრდის პროგრამის მდგრადობას და მათი განმახორიცლებელი პერსონალის რიცხოვნობას. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☑ **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |

| 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება |
| --- |
| ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;<br>➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულია ***ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების წესი*** (დატკიცებული რექტორის 2918 წლის 25 ივნისის N62-18 ბრძანებით, განალებული და რედაქტირებული 27.04.2021 N89-21 რექტორის ბრძანებით), რომლის თანამადაც პერსონალის შეფასება უნივერსიტეტში ხორციელდება სემესტრში ერთხელ. უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახური უზრუნველყოფს აკადემიურ/მოწვეულ პერსონალის ხარისხის მართვას შემდეგნაირად: აკადემიური/მოწვეული პერსონალის თვითშეფასება; სტუდენტის მიერ ლექტორის შეფასება; სტუდენტის აკადემიური მოსწრება. მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის მონაცემებს ინსტიტუცია იყენებს უწინარესად პროგრამების განვითარების მიზნით, ისევე როგორც წახალისების მექანიზმების ასამუშავებლად. ანალიზის შედეგები დასკვნის სახით ეგზავნება აკადემიურ საბჭოს, რომელიც შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას.<br>ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მოდიფიკაცია აუცილებელი გახდა უნივერსიტეტის სტატუსის შეცვლასთან დაკავშირებით, მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მიზნით. ცვლილებები შეეხო არსებულ კითხვარებს, პროცედურულ ნაწილს და ამასთან ერთად შემუშავდა მთელი რიგი თემატური კითხვარები.<br>გარდა ზემოხსენებული მექანიზმებისა ინსტიტუცია ასევე ახორციელებს პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობას, რომლის შემუშავებისათვის გაწერილია ***სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, შეფასებისა და ხელშეწყობის წესში*** (დამტკიცებული 17.01.2020 რექტორის ბრძანება 09-20). წინამდებარე წესის მიხედვით აკადემიური პერსონალი თავად ახორციელებს თვითშეფასებას შუალედური და წლიური ინდივიდუალური ანგარიშების მიხედვით, რაც შემდგომში ეგზავნება აკადემიური კვლევის ანალიზისა და შეფასების მენეჯერს. შეკრებილ მონაცემთა საფუძველზე მომზადებული დასკვნა ასევე ეგზავნება აკადემიურ საბჭოს, რის საფუძველზე ასევე მუშავდება სამოქმედო გეგმა, რომლის ფარგლებში აკადემიური საბჭო ადგენს *აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის მარდამჭერ ღონისძიებებს (სხვადასხვა ტიპის ფინანსური სქემების გათვალისწინებით).*<br>უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობას აქვს როგორც ინდივიდუალური ისე ინსტიტუციური ხასიათი. გამომდინარე იქიდან, რომ ხშირად იგეგმება ინსტიტუციურ პრონციპზე მოწყობილი კვლევები, შესაბამისად უნივერსიტეტი ეტაპობრივად აძლიერებს კვლევით ინფრასტრუქტურას, რის დასტურად გამოდგება ა(ა)იპ-დავით პატონიშვილის სამართლის ინსტიტუტთან თანამშრომლობა, ეს უკანასკნელი სრულად ინტეგრირებულია უნივერსიტეტის სტრუქტურაში. ინსტიტუციაში დღეს უკვე მოქმედია შემდეგი კვლევითი ერთეულები: *ეკლესიის სოციალური სწავლების ცენტრი, თეოლოგიისა და ფილოსოფიის ინსტიტუტი, დანაშაულისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ცენტრი, დავით ბატონიშვილის სამართლის ინტიტუტი, განვითარების კვლევების ინსტიტუტი და მიშელ მუსხელის ინსტიტუტი.* კველვითი ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტის ერთიანი კვლევები, დღეს უკვე დასავლეთში აპრობირებული პრაქტიკაა, რომლის შედეგების სწავლების პროცესში გადატანა და სწავლა-სწავლების პროცესის გამდიდრება და გათანამედროვეობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. გარდა ამის, საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი პროცესების გაფართოება დარგში თანამედროვე გამოწვევებით პირდაპირპროპორციულია სწავლებისა და კვლევების პროცესში დარგში უახლესი თემების გენერირების.<br>ზემოხსენებული გამოწვევების მხარდასაჭერად უნივერსიტეტი მზადაა მხარი დაუჭიროს საკუთარ აკადემიურ პერსონალს პერმანენტულად დაგეგმილი პროფესიული განვითარების ღონისძიებებით, როგორიცაა ***შეფასების შედეგებზე დაყრდნობით დაგეგმილი ტრენინგები და სხვა ღონისძიებები***; ***საერთაშორისო პროექტები, კვლევითი გრანტები და მობილობა; საერთაშორისო ტრეინინგები და*** |

| |
|---|
| ***პროფესიული განვითარების პროგრამები;*** მოცემულ სამ მნიშვნელოვან მიმართულებას უნივერსიტეტში ემსახურება პროფესიული განვითარების ცენტრი. უკანასკნელ პერიოდში ჩატარებულ ტრეინინგთა შორის სახელდება: *პროექტების მართვა; საგრანტო განცხადის წერა; ციტირების ტექნიკა და სტანდარტი; სამეცნიერო ბაზების გამოყენება და წყაროების მოძიება.*<br>რაც შეეხება გრანტების სისტემის ამუშავებას უნივერსიტეტში, ის ემყარება გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურსის პრინციპებს. ინფორმაცია მუდმივად ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერზე, რექტორის სამართლებრივი აქტით დგინდება საკონკურსო კომისია და ვადები და ქვეყნდება საჯაროდ. უნივერსიტეტში მუდმივად მოქმედებს საერთაშრისო ტრეინინგები და პროფესიული განვითარების პროგრამები, რომელშიც მუდმივად მონაწილეობას იღებს აკადემიური პერსონალი. უნივრსიტეტს ამის დასტურად წარმოდგენილი აქვს იმ აქტივობების ჩამონათვალი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი. აკადემიურ პერსონალს პროფესიული განვითარებისთვის ასევე შეუძლია გამოიყენოს ***პროფესიული განვითარების შეღავათები.*** ასევე უნივერსიტეტის მხარდაჭერით იბეჭდება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქცია (2020 წლიდან), დღევანდელი მონაცემების მიხედვით გამოქვეყნებულია: 1 დისერტაცია, 1 მაგისტრის კვლევითი ნაშრომი, 2 დარგობრივი თარგმანი, 1 კვლევითი ნაშრომი.<br>უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე დოქტორანტურის პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: *მოწეულ/აკადემიურ პერსონალს კონკრეტულად სადოქტორო პროგრამის ფარგლებში ჯერ არ აქვს კონკრეტული გეგმები დასახული პროფესიული განვითარების თვალსაზრისით. მაგრამ ასევე აღნიშნეს, რომ სხვა საგანმანათლებლო პროგრმების ფარგლებში ისინი მონაწილეობდნენ პროფესიული განვითარების მიზნით დაგეგმლით სხვადასხვა აქტივობებში.* |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;<br>• ხარისის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების წესი;<br>• აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები;<br>• პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების წესი;<br>• აკადემიური მოწვეული პერსონალის შეფასების ანგარიში;<br>• პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდეობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;<br>• აკრედიტაციის პროცესში მიმდინარე ინტერვიუები. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>- |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>- |
| **შეფასება**<br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.3 მატერიალური რესურსი** |
| პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის |

| |
|---|
| შედეგების მისაღწევად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში პროგრამის განმახორციელებელთა მიერ წინამდებარე კომპონენტში დეტალურადაა აღწერილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზები, რომელთა მეშვეობით მოხდება სასწავლო და კვლევითი პროცესის ხელშეწყობა, რომლის შესწავლისა და არსებულ ვითარებასთან შედარებამ გამოკვეთა შემდეგი გარემოებები: გარკვეულწილად ვერ მოხერხდა სააუდიტორიო ფონდის და სასწავლო ტექნიკისა და რესურსების დეტალური გაცნობა, გამომდინარე პანდემიური ვითარებიდან, ვინაიდან ვიზიტი განხორციელდა დისტანციურად, ანუ პირდაპირი წესით ვერ მოხდა ინფრასტრუქტურის ადგილზე დეტალური დათვალიერება. ამ ბუნდოვანების განმარტება შესაძლებელი გახდა მოწვეულ/აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგად, რომელთაც განმარტეს, რომ უმაღლეს სასწავლო დაწესებულება აღჭურვილია აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვას.<br>მიუხედევად არსებული პანდემიური მდგომარეობისა, უსდ-მ უზრუნველყო სასწავლო მასალისა თუ სამეცნიერო დარგობრივი ლიტერატურის გაციფრულება. ასევე დოქტორანტს საჭიროების შემთხვევაში ექნება შესაძლებლობა, დისტანციურად ინსტიტუციის მიღმა ჰქონდეს წვდომა ელექტრონულ ბიბლიოთეკებზე ან/და ბაზებზე, რომლის მომსახურებითაც უნივერსიტეტი სარგებლობს. სასწავლო კურსების პრაქტიკულად ყველა შემთხვევით პრინციპზე შერჩეული სახელმძღვანელო ბიბლიოთეკაში იძებნება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა თეოლოგიური ლექსიკონების მრავალტომეულის წარდგენა, რაც ბიბლიოთეკის მენეჯერის მიერ ვერ იქნა მოძიებული, თუმცა არაერთი სხვა მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო მოინახა ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში, განსაკუთხებით კი რელიგიის ფილოსოფიისა და ჰერმენევტიკის მიმართულებით. ექსპერტთა ჯგუფი მნიშვნელოვნად მიიჩნევს სასწავლო მასალის რეგულარულად განახლებას, მათ შორის თეოლოგიური სამეცნიერო პერიოდიკის რეგულარულ გამოწერას, რაც უნიშვნელოვანესია იმ თვალსაზრისით, რომ ამდაგვარი კვლევები ქართულ უმაღლეს სასწავლებელში მე-8 დონეზე პირველად იგეგმება და ამ პროგრამის კონცეფციის ხედვა უნდა აიგოს უახლეს დასავლურ დარგობრივ სტანდარტზე.<br>ბიბლიოთეკა ასევე აღჭურვილია საერთაშორისო ელექტრონული რესურსებით: EBSCO, HeinOnline, Westlaw, ELSEVIER: Scopus, Science Direcy, Scival. Funding (Funding Institutional). საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებულისაინფორმაციაო ქსელის კონსორციუმის წევრობის ფარგლებში ბიბლიოთეკას წვდომა აქვს ელექტრონულ რესურსებზე: Cambridge Journals Online; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; Edward Elgar Publishing Journals; Sage Journals; IMechE Journals; Royal Society Collection; e-Duke Journals Scholary Collection; Mathematical Sciences Publishers Journals; Openedition Journals; მაგრამ ბიბლიოთეკის მენეჯერთან ინტერვიუს დროს ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიიღო დასაბუთება იმის თაობაზე ჰქონდა თუ არა უსდ-ს თეოლოგიის მიმართულებით არსებულ ელექტრონულ ბაზებზე.<br>უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი. ბიბლიოთეკის საერთო ფონდი მოიცავს 21426 აღწერილობას, მათ შორის 16403 - წიგნს, 1742 - ჟურნალს, 3136 - კომპაქტ დისკს და 145 - რიდერს, მათგან 9183 ერთეული უცხოურენოვანია (ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული).<br>ბიბლიოთეკაში დოქტორანტებისათვის გამოყოფილია სივრცე, სადაც მათ შეუძიათ მუშაობა და რომელიც აღჭურვილია ინტერნეტითა და სამართლებრივი ლიტერატურით. საჭიროების შემთხვევაში მას ბიბლიოთეკის ნოუთბუქით შეუძლია ისარგებლოს. სავარაუდო ბიუჯეტით გათვალისწინებულია ყოველწლიურად სახელმძღვანელოების, წიგნების, ჟურნალების, რიდერების შეძენა/ზეჭდვა. |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინფრასტრუქტურის ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო კურსებისა და კვლევებისათვის აუცილებელი კრიტიკული თეოლოგიური ლიტერატურის პერმანენტული განახლება;
- მნიშვნელოვანია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა შეივსოს თეოლოგიურ ტერმინთა მრავალტომეული ლექსიკონით.
- რეკონემდებულია უსდ-მ უზრუნველყოს თეოლოგიის მიმართულებით უახლესი და აქტუალური ელექტრონული ბაზების ხელმისაწვდომობა.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტს შემუშავები აქვს საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებულია 2021 წლის 21 მაისს (ბრძანება №98-21), თუმცა ბრძანების დანართი პრტფოლიოში არ იყო წარმოადგენილი. თუმცა ინტერვიუს შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო პასუხი, რომ ბიუჯეტი განისაზღვრა უნივერსიტეტის პრიორიტეტებით, მათ შორის, პრიორიტეტულია კვალიფიციური აკადემიური/მომსახურე პერსონალის მოზიდვა, ასევე სტუდენტური აქტივობების მხარდაჭერა. ბიუჯეტში გაწერილია დაფინანსების წყაროები. ბიუჯეტის ძრითად მეთოდად გამოიყენებ 'Top tu down' მეთოდი.

ბიუჯეტის წყაროს წარმოადგენს სწავლის საფასური, თუმცა ბიუჯეტის მიხედვით ნაკლები სუდენტის შემთხვევაში პროგრამის განმახორიცელებელი ინსტიტუცია საკუთარ თავზე იღებს პროგრამის დაფინანსებას, რაც გამოჩნდა ინტერვიუს შედეგადაც, კერძოდ, უსდ-ს ცენტრალური ბიუჯეტი მზად არის მოახდინოს ფინანსების აკუმულირება და დოქტორანტურის საფეხურის მიზნების განხორციელებისათვის, იმ შემთხვევაში თუ ვარაუდი ვერ გაამართლებს ან დამატებითი ხარჯები იქნება საჭირო პროგრამის განსახორციელებლად.

ფაქტობრივად საგანმანათლებლო პროგრამის დაზღვევას ცენტრალური ბიუჯეტი იღებს თავის თავზე, იმ შემთხვევაში თუ ვერ შეივსება ან დამატებით ხარჯებს მოითხოვს ის. ეს ფაქტი თავისთავად მნიშვნელოვანია, მაგრამ სასურველი, რომ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი გაწერილ იქნას უფრო დეტალურად, ვინაიდან ინსტიტუცია ბიუჯეტის დაგეგმარებაში ასახავს პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებას, წიგნადი ფონდის შევსებას უახლესი სახელმძღვანელოებითა და კვლევებით; საერთაშორისო ელექტრონული რესურსების წვდომის უზრუნველყოფას, პერსონალის შრომის ანაზღაურებას და მიზნობრივ მივლინებას. ბიუჯეტი ასევე

უნდა ხედავდეს გაუთვალისწინებელ ხარჯებს.
პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ რეკომენდებულია ბიუჯეტის დეტალიზება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- აკრედიტაციის ვიზიტის პროცესში მიმდინარე ინტერვიუები;
- პროგრამის ბიუჯეტი.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტის დეტალიზება პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

–

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

–

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

–

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | | | √ |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

### 5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

შპს-სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახური იცნობს და ეყრდნობა ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო რეგულაციასა და დოკუმენტს, ადგენს საუნივერსიტეტო სივრცეში პროცედურებსა და პროცესების აღმწერ დოკუმენტებს, რომლებიც მნიშვნელოვანია უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის ამაღლებისთვის. საუნივერსიტეტო ხარისხის მართვის სამსახური ზრუნავს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სიახლეებისა და ინოვაციების დაგეგმვისა და განვითარებისათვის. ის აფასებს და აანალიზებს კონკრეტულ პროცესებს და მაქსიმალურადაა ჩართული წინამდებარე პროცესების განვითარებაში და პასუხისმგებლობას იღებს

| |
|---|
| მათ მართებულად წარმართვაზე.<br>უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურს შემუშავებული აქვს ცალკეული დოკუმენტები, რომელიც აწესრიგებს და არეგულირებს შიდა აკადემიურ პროცესებს, მათ შორის, *ხარისხის მართვის სამსახურის დებულება*, სადაც დეტალურად არის აღწერილი სამსახურის საქმიანობის არეალი, ფუნქციები, მიზნები და ამოცანები; უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს *საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და მისი დამტკიცების წესი და ასევე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების წესი.* წინამდებარე საუნივერსიტეტო რეგულაციები მომზადებულია საერთაშორისო სახელმძღვანელო დოკუმენტების, საქართველოს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების, უნივერსიტეტის წესდების, მისიის, სტრატეგიული განვითარების გეგმის, სამოქმედო გეგმისა და სხვა საუნივერსიტეტო რეგულაციების საფუძველზე.<br>შიდა ხარისხის შეფასება აგებულია კონკრეტული მექანიზმების საფუძველზე, რაც გულისხმობს უწინარესად საგანმანათლებლო პროგრამების, პროცესის, აკადემიური პერსონალის და სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხის გაუმჯობესებას. სამსახური წინამდებარე პროცესებს აწყობს PDCA-ის პრინციპით: დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-ირეაგირე.<br>საკრედიტაციო პროცედურისთვის შემუშავებულმა საგანმანათლებლო პროგრამის ***თეოლოგია*** მაინიცირებელმა ჯგუფმა გარკვეულწილად დაგეგმა კვლევის ცალკეული ეტაპები, თუმცა მოსამზადებელი სამუშაოები ვერ განხორციელდა სრულყოფილად. ბაზრის კვლევა, რომელიც წარმოდგენილია საკრედიტაციო პორტფოლიოში, არ არის ამომწურავი და მიზანმიმართულად შესრულებული, რაც ვერ ქმნის ბაზარზე პროგრამის მოთხოვნის სრულყოფილ სურათს. რაც შეეხება კვლევებს, რომელიც წარმოდგენილია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ***თეოლოგია*** ფარგლებში (სტუდენტის, კურსდამთავრებული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლები), ამით მხოლოდ დასტურდება, რომ უსდ-ს აქვს შიდა შეფასების მექანიზმები, რომელსაც პერმანენტულად მიმართავს პროგრამის განვითარების მიზნით და რომელიც მართულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. დამატებითი მექანიზმი კვლევებისთვის, რომელსაც ხშირად მიმართავს უსდ, არის მუშაობა ფოკუს-ჯგუფებთან, რომელიც მოხსენიებულია ასევე თვითშეფასების დოკუმენტში.<br>ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ინტერვიურთა ჯგუფებს (განსაკუთრებით დამსაქმებლებს) არ ჰქონდა სრულყოფილი წარმოდგენა საგანმანათლებლო პროგრამაზე. ზედაპირულ დონეზე ისინი ფლობდნენ ინფორმაციას პროგრამის შემუშავების შესახებ, მაგრამ მინიმალური იყო მათი ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში.<br>სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესების გარდა, ხარისხის მართვის სამსახური ინსტიტუციაში კულტურის ამაღლების მიზნით ვალდებულია პერიოდულად იკვლიოს უნივერსიტეტის მართვისა და სერვისების ხარისხი. ეს დაწესებულებამაც იცის, რაც წარმოდგენილია ცალკეული გამოკითხვების შინაარსშიც.<br>ინტერვიუებმა აჩვენა, რომ რეალურად გასამიჯნია პროგრამის მომზადებისა და თვითშეფასების ჯგუფის სამუშაო ფაზები, წინა საკრედიტაციო მოსამზადებელ პერიოდში გაწერილი სამუშაოების რეალისტურად და სრულყოფილად წარმართვის მიზნით.<br>შიდა ხარისხის შეფასების პროცესში აქტიურია აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, საფაკულტეტო ადმინისტრაცია, ასევე პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლები და შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში სასურველია, რომ ეტაპობრივად და უფრო აქტიურად ტარდებოდეს ვორკშოპები პროგრამის განვითარებით დაინტერესებულ პირთათვის, მით უფრო, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირი აქტიურად მონაწილეობს ამ პროცესებში.<br>ახალი პროგრამის მომზადების პროცესში მნიშვნელოვანი იქნებოდა, არსებული საგანმანათლებლო პროგრამა შედარებულიყო საერთაშორისო სტანდარტებსა და ანალოგებთან. მომზადებული ანალიზი ხელს შეუწყობდა საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ განვითარებას.<br>შიდა შეფასების მასალების გაცნობამ აჩვენა, რომ ინსტიტუცია შიდა შეფასებას აღიქვამს, როგორც ინსტიტუციური განვითარების ერთ-ერთ კარგ შესაძლებლობად და გარე შეფასების ერთგვარ წინაპირობად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• შპს-სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის, 6 აპრილის ბრძანება N63- |

21, დანართი 12· შპს - სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის დებულება;

- შპს-სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის, 26 აპრილის ბრძანება N86-21· შპს - სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და მისი დამტკიცების წესი;
- შპს-სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის, 27 აპრილის ბრძანება N89-21· შპს - სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები (გამოკითხვები);
- ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები;
- ფაქტობრივი ვითარება.

**რეკომენდაციები:**

- არსებითად მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს ბაზრის კვლევას არამარტო ახალი პროგრამის შემუშავების პროცესში, არამედ პერიოდულად საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით;
- გამომდინარე იქიდან, რომ საგანამნათლებლო პროგრამას აქვს მხოლოდ ერთი ანალოგი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, არსებითია მომზადდეს პროგრამის შედარება საერთაშორისო დარგობრივ ანალოგებთან საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- ინსტიტუციაში ხარისხის კულტურის გაძლიერებისა და ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე სიახლეებისა და გამოწვევების იმპლემენტაციის მიზნით სასურველია განათლების ქართველ და უცხოელ ექსპერტთა ჩართულობით მომზადდეს ვორკშოპები და სემინარები საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებელთათვის;
- სასურველია მეთოდურად გაიმიჯნოს პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის და თვითშეფასების ჯგუფის საქმიანობა, რომელთაგან პირველი საგანმანათლებლო პროგრამას აკვირდება შიგნიდან, ხოლო მეორე გარედან შეფასების მიზნით, რათა მიღწეულ იქნას საგანმანათლო პროგრამის სრულყოფილი და ერთიანი აღქმა.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამაზე მუშაობის პროცესშივე საინციატივო ჯგუფი კონსულტაციებს იღებდა პარტნიორი უნივერსიტეტების შესაბამისი ინსტიტუტების დარგობრივი ექსპერტებიდან, რომელთა შეფასებები ხელმისაწვდომი გახდა ექსპერტთა ჯგუფისთვისაც, ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის მიუხედავად (ზეპირსიტყვიერი და წერილობითი) უსდ-ს მიერ არ იქნა მოწოდებული საგანმანათლებლო პროგრამის ის ვერსია რაც შესაფასებლად გაეგზავნა უცხოელ შემფასებლებს. შემფასებელთა შორისაა ლუბლინის კათოლიკურ უნივერსიტეტის (პოლონეთი) თეოლოგიის დეკანი და უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი სლ. ნოვოსადი, რომელიც პროგრამას აფასებს როგორც ავთენტურსა და ლოგიკურად აგებულ საგანმანათლებლო პროგრამას. პროგრამა შეფასდა ასევე თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტის (საბერძნეთი) თეოლოგიის ფაკულტეტის დოქტ. იოან კორუმპელესის მიერ. შეფასება ძირითადში ფოკუსირებული იყო მიზნებისა და შედეგების ურთიერთმიმართებასა და შედეგების მიღწევადობაზე მოცემული შინაარსიდან გამომდინარე. ექსპერტიზის ავტორი ძირითადში პოზიტიურად აფასებს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში

| |
|---|
| მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამის შემოტანას და მოცემული მიზნების ფარგლებში მიღწევადად მიაჩნია წარმოდგენილი შედეგები. შეფასების პროცესში ჩართული იყო ასევე ფრაიბურგის უნივერსიტეტის ეკუმენური კვლევების ინსტიტუტის პროფ. ბარბარა ჰალენსლებენი. ექსპერტი დეტალურად გაეცნო წარდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას და შემოთავაზებული აქვს შეფასების დოკუმენტი, რომელშიც დეტალურად აქვს პროგრამის ცალკეული დეტალები გაანალიზებული და შეფასებული. შეფასებით ნაწილს თან ახლავს სარეკომენდაციო წერილი (იხ. დანართი). დასკვნებს შორის არის ასევე ასოც. პროფესორის ვასილიოს გეორგოპულოსის შეფასებაც (იხ. დანართი №2). წინამდებარე დარგობრივი შეფასებები, არ განიხილავენ სტანდარტით მოთხოვნილ ყველა დეტალს, თუმცა მათში გარდა საგანმანათლებლო პროგრამების პოზიტიური ხედვისა დაფიქსირებულია კრიტიკული მიდგომები, რაც მნიშვნელოვანი იქნება საგანმანათლებლო პროგრამის სრულფასოვანი განვითარებისთვის და სამწუხაროდ არ იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მხრიდან.<br>საგანმანათლებლო პროგრამის გარე ხარისხის შეფასების ახალი ფაზა შესაძლებელია მომზადდეს პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ. გარე შეფასების პროცესში მიღებული განმავითარებელი რეკომენდაციები და რჩევები ხელს შეუწყობდა საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• შპს-სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის, 27 აპრილის ბრძანება N89-21· შპს - სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების წესი;<br>• ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები და შეფასებები;<br>• გარე ექსპერტთა შეფასებები;<br>• ინტერვიუს შედეგები; |
| **რეკომენდაციები:**<br>• პროგრამის განვითარების მიზნით გათვალისწინებულ იქნას გარე შემფასებლების მიერ გაცემული რეკომენდაციები, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფას.- |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>- |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>- |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>- |
| **შეფასება**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება |
|---|
| პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემუშავებულია და რექტორის 2018 წლის 25 ივნისის N62-18 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების დოკუმენტი, რომელიც უნივერსიტეტის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით დაექვემდებარა არსებით რედაქტირებას.<br>საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი უნივერსიტეტში მიმდინარეობს წელიწადში ერთხელ, რომელსაც აქვს კონკრეტული მეთოდოლოგია; ამ პროცესში მონაწილეობას იღებენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტი და კურსდამთავრებული. შეფასების შედეგების ანალიზის შემდგომ დგინდება საგანმანათლებლო პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეები, მისი |

| |
|---|
| გაზიარება ხდება პროგრამის განმახორციელებელ პირთათვის და მათთან ერთად მუშავდება სამოქმედო გეგმა პროგრამის სუსტი მხარეების გასაუმჯობესებლად და გაიწერება კონკრეტული ღონისძიებები.<br>გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ახალია, ის, ბუნებრივია მონიტორინგის პროცესს ვერ დაექვემდებარებოდა, ხოლო მისი ჩართვა მონიტორინგის პროცესში აკრედიტაციის შემდგომ უნდა განხორციელდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და მასთან დაკავშირებული პროცედურების სრული დაცვით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• შპს-სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის, 27 აპრილის ბრძანება N89-21· შპს - სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების წესი;<br>• ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები (დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვები);<br>• პროგრამის შეფასების შედეგები, გამოკითხვა;<br>• ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები;<br>• ფაქტობრივი ვითარება. |
| **რეკომენდაციები**:<br>• პროგრამის ამუშავების შემდგომ ხარისხის მექანიზმების სრული დაცვით განხორციელდეს პროგრამის პერიოდული მონიტორინგი, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფილად განხორციელებას. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>- |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>- |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>- |
| **შეფასება**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | | ✓ | | |

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
შპს - სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
თეოლოგია დოქტორანტურა

დასკვნის პროექტის გვერდების რაოდენობა: 38

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | | ✓ | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | | | ✓ |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | | | ✓ |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | | ✓ | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ნინო ქიმერიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

| № | სახელი და გვარი | ხელმოწერა |
|---|---|---|
| 1 | მამა ეფრემი (გივი ლომიძე) | |
| 2 | მამა ილია (ირაკლი ჯინჯოლავა) | |
| 3 | თეონა კუპრაძე | |

ΑΡΙΣΤΟΤΕΛΕΙΟ ΠΑΝΕΠΙΣΤΗΜΙΟ
ΘΕΣΣΑΛΟΝΙΚΗΣ
ΘΕΟΛΟΓΙΚΗ ΣΧΟΛΗ
ΤΜΗΜΑ: ΚΟΙΝΩΝΙΚΗΣ ΘΕΟΛΟΓΙΑΣ ΚΑΙ
ΧΡΙΣΤΙΑΝΙΚΟΥ ΠΟΛΙΤΙΣΜΟΥ
ΤΟΜΕΑΣ: Ιστορίας, Δόγματος, Διορθοδόξων
και Διαχριστιανικών Σχέσεων
Αναπληρωτής Καθηγητής
Πρωτ. Βασίλειος Α. Γεωργόπουλος
+2310996949.Email:georgopv@past.auth.gr

**Evaluation**
**of the PhD Programme in Theology**
**Sulkhan-Saba Orbeliani University**

1. The programme is excellently structured, conforming to international standards. It promotes research knowledge, gives students the opportunity to gain academic research experience, and avails them the convenience of completing their doctoral dissertation in a minimum time of three years.

2. The research and composition of a doctoral dissertation is directly related to the skills that the students acquire during the three-year study programme. Such skills are drawn both from their research and teaching training and practice, as well as their practice in the production of high-level essays, conformant to international standards. Also of increased significance is the ethos and academic integrity, fostered by the excellent cooperation between the teachers—primarily the supervisor—and the students. Given that all these parameters are secured by the study programme, I maintain that the curriculum ensures the high level of the resulting doctoral dissertation.

3. The programme's curriculum is comprehensive. Its objectives escape the narrow academic framework, where theology is taught simply as an historical subject, and nurture the ability to approach and interact with the new questions and problems that continuously emerge in theology and the Church. In this manner, I consider the programme to more than adequately respond to the challenges of the modern era.

Fr. Vasileios Georgopoulos

Associate Professor

Thessaloniki, 22 February 2021

**ARISTOTLE UNIVERSITY OF THESSALONIKI**
**THEOLOGY FACULTY – DEPARTMENT OF THEOLOGY**

SECTOR: ETHICS & SOCIOLOGY
**ASSISTANT PROF.: PETROS PANAGIOTOPOULOS**

541 24 THESSALONIKI
Mob.: +306977342807
e-mail: panapetros@theo.auth.gr

Thessaloniki, February 27, 2021

## EVALUATION OF PhD PROGRAMME

*To the University of Sulkhan-Saba Orbeliani*

1-How achievable are goals and results of the program?
2-To what extent does the Doctoral Program Curriculum ensure achievement of the outcomes of the program- the creation of a high level doctoral dissertation?
3- To what extent does the doctoral program respond the challenges of modern Theology?

1. I personally believe that the goals and results of the Program are fully achievable. Its time span is reasoned and balanced, so that the student has the time to acquire the necessary knowledge and proceed to the required deepening of a Program of this level.
2. Studying the structure of the Curriculum, I believe that achieving its outcomes is very possible at a very large extent. Its goals are not maximalist, while ensuring a high level of knowledge and research skills
3. The challenges facing modern Theology are varied and multidimensional. From what I see, the Program has enough specifications to meet them and especially to go ahead and deepen the dialogue of Theology with the modern world.

Petros Panagiotopoulos

Petros Panagiotopoulos Petros Panagiotopoulos
27.02.2021 12:09

Assistant Professor

**UNI FR**

INSTITUT FÜR ÖKUMENISCHE STUDIEN
INSTITUT D'ÉTUDES ŒCUMÉNIQUES
UNIVERSITÄT FREIBURG SCHWEIZ
UNIVERSITÉ DE FRIBOURG SUISSE

*Prof. Barbara Hallensleben*
Avenue de l'Europe 20
CH-1700 Fribourg

Tel. [+41] 026 / 300 74 10
Barbara.Hallensleben@unifr.ch
www.unifr.ch/iso/ – www.unifr.ch/orthodoxia

# Evaluation of the PhD Program in Theology

**My expertise in the evaluation of study programs is the following one:**

- As the dean of the Faculty of Theology (University of Fribourg in Switzerland) I initiated and lead 2004 to 2006 the introduction of the Bologna System.
- As "Curator Studiorum", I was for many years responsible for the process of advising students and for the recognition of academic achievements.
- Regularly, I participated in commissions for the preparation of new study programs of our faculty.
- Several times, I have participated as an external expert in accreditation procedures in Switzerland and abroad.
- I am a member of AKAST (= the German Accreditation Agency for Church and State Recognition of Theological Study Programs).

**1-How achievable are goals and results of the program?**

There are different ways of structuring a doctoral program. The submitted program combines, in a balanced way, compulsory courses that qualify students for research and competent participation in academic life, with independent research time in view of completing the dissertation. The three years envisaged until the (earliest) completion of the doctoral thesis are in line with international practice and realistic experience. The content of the program is well aligned to the achievement of the formulated goals.

**2-To what extent does the Doctoral Program Curriculum ensure achievement of the outcomes of the program- the creation of a high level doctoral dissertation?**

For two reasons, the doctoral program presented ensures the achievement of the objectives described:
a. An important criterion for a successful doctoral program is its progressive structure. This is given by the fact that the doctoral students are first strengthened in their research competences, but are more and more already involved in teaching: The introduction to "Modern Teaching Methods" is followed by the opportunity for practical experience through "Assisting to the Professor". This is a pioneering element of doctoral training, which is by no means already practised in this way at all faculties.
b. What I particularly appreciate about the draft program is that personality development and academic qualification are linked and coordinated with each other. In today's academic life, research competence must be linked with social and communication skills Participation in academic life must be practised, and the requirement for ethical integrity is of great importance.

**3- To what extent does the doctoral program respond the challenges of modern Theology?**

The success of a doctoral program depends not only on the formal program requirements, but above all on the qualifications of the accompanying professors and the research dynamics of the environment. As far as the program itself provides information, it is very much oriented towards modern challenges. It explicitly wants to guide students towards "topical issues", seeks "new knowledge" and promotes a critical spirit by favouring "independent and original solution strategies". In doing so, it favours innovative methods and results.

**Recommendations:**

a. In addition to the "topical issues in theology", the possibility of "basic research" without immediate public relevance today should also be mentioned. Science needs a certain purposeless love of truth for its own sake.

b. I was surprised to see only "Historical Theology" and "Systematic Theology" among the "Research Methods", while in my academic context "Biblical Theology" and "Practical Theology" constitute as well distinct areas of theological research. However, this may have to do with a different grouping of the subjects or with a specific profile formation of the faculty, which may well be justified.

c. The two "elective courses" each comprise 10 ECTS credits, but a different number of working hours, without clearly assigning "Contact Hours" and "Hours for Independent Work". Either there is an oversight here, or the difference in workload could be described more in detail.

Fribourg, 17 February 2021

Barbara Hallensleben

Institutum Studiorum Oecumenicorum

*Prof. Dr. Barbara Hallensleben*

Dr. Ioannis Kourempeles
Professor of Dogmatic and Symbolic Theology
Faculty of Theology
Aristotle University of Thessaloniki
Thessaloniki 54124
Greece

To:
The Honourable Dean

of the University of Suhkhan-Saba Orbeliani

info@sabauni.edu.ge

g.barnovi@sabauni.edu.ge

Thessaloniki
February 21, 2021

**Theme**: *Evaluation of the PhD Program of Theology*

Dear Dean Gocha Barnovi,

I am sending you the *Evaluation of the PhD Program of Theology*, in reference to the following questions which you asked me to address:

1- *How achievable are the goals and outcomes of the program?*
2- *To what extent does the Doctoral Program Curriculum ensure achievement of the outcomes of the program, ie. the creation of a high-quality doctoral dissertation?*

3- *To what extent does the doctoral program respond to the challenges of modern theology?*

I am positively in favor of the direction of your PhD program, and I humbly submit the following evaluation for your consideration.

## A. General Overview

In my evaluation of your program, I have tried to determine whether the goals, objectives, and activities of your PhD Program in Theology may produce the planned results and deliver the expected outcomes. My main effort was to consider your program as a whole by analysis of two main indicators: the *outcomes* and the *impact* that may result after the completion of the three-year doctoral program.

As your program description has stated, your objectives aim at an in-depth scientific analysis of the topical issues in the field of Theology, result-oriented research, and creation of new knowledge.

Following the above statement, we may say that the course on *Research Methods in Theology* of the first semester introduces graduates to the field of research methodology and leads them to the targeted study and application of this research in the form of the *Research Seminar in Historical Theology* in the second semester. The elements of specialization on the historical and literary level ensure the organized expression of theological dialogue with current modes of thought.

The introductory steps to result-oriented research are applied with regards to the content-oriented course *Modern Teaching Methods* in the second semester. The course also functions as a prerequisite to the practical aspects of doctoral study, joining together research and an applied scientific approach in the course *Assisting to the Professor* in the third semester, offering PhD students teaching experience in the field of Theology under the guidance of their professor and faculty advisor(s). This perspective enables the candidates to confront the responsibility of teaching and the real presentation of their studies and research.

This trajectory which encourages deepening research study and the fine-tuning of theological thought and knowledge is, at the same time, supported by the *Academic Writing and Dissertation Architectonics* course that offers the new researcher the academic tools and methods with which to compose his/her thesis in a scientifically appropriate and effective manner.

Moreover, regular presentations throughout the various stages of thesis composition, along with consistent review, feedback, and the various recommendations articulated by the body of the field commission during the three colloquia are of great significance for the research support of the PhD student during the completion of his/her doctoral dissertation. The knowledge and experience gained at the colloquia provide the PhD student with the

necessary epistemological skills to act accordingly in his/her assistant duties in tandem with positive evaluations given both by his/her professor and the majority of the field commission.

Disciplined research on a multiplicity of issues based on the original texts and their interaction with modern research tools and methods in the field of Theology today are required by the new researcher. According to your description, studies in Theology are characterized by adherence to the ethical integrity that characterizes a responsible academic researcher. We may say that new knowledge as a result of the use of new research methods based on new technology is to be obtained in your curriculum.

Your PhD Program in Theology keeps the sequence of the courses under constant control and it defines and sets forth practices by certain evaluation criteria appropriately set forth. Consistency in work and practice for the whole duration of a six-term program trajectory is a prerequisite to the successful outcome of the main impact of your program i.e. to contribute to the development in the field of Theology by creating high-quality research papers. The use of modern technology in the field of Theology may offer new ways of expressing theological issues by the study of the original texts and the conveyance of Theology in terms through the modern era. Hence, the aim is accomplished as a long-term and lasting effect may arise.

**B. Specifications**

*1. How achievable are the goals and outcomes of the program?*

According to the compulsory courses Research Methods in Theology/ Academic writing and Dissertation Architectonics which are referred in the Curriculum: Supposing that each compulsory module which corresponds to the internal criteria and presuppositions of the PhD student are sufficient (both total 11 ECTS) to prepare the new incomer in a PhD program for the demands of the dissertation, they are in agreement with the objective C: To contribute to the development of theology by creating high-quality research papers.

*2. To what extent does the Doctoral Program Curriculum ensure achievement of the outcomes of the program, ie. the creation of a high-quality doctoral dissertation?*

The production of a high-quality doctoral dissertation is a demand for a well-prepared PhD student, which calls upon him/her to achieve the following aims: consistency, continuity, and ultimately, the completed project. The proposed PhD Program is structured in a way to contribute to the aforementioned criteria with the compulsory course titled: Modern teaching Methods (ECTS 6). I strongly believe that pedagogical courses are improving

the already existing teaching methods in the educational process at the university level, while at the same time inspiring the PhD trainee to apply these new learned methods in teaching and to contribute to the continual improvement of the teaching of a university course. Effectively, this contemporary trend is in accordance with your program's course entitled: Assisting to the Professor (ECTS 5).

3. *To what extent does the doctoral program respond to the challenges of the field of Theology in modernity?*

There are many contemporary challenges in modern theological studies that may arise from the dialogical character of theology and modern theological modes of thought. It is necessary for a contemporary theologian and scholar to deal with those challenges. Through the courses Research Seminar in Historical Theology and the Research Seminar in Systematic Theology (both total 20 ECTS), along with the inclusion of elective courses, PhD students effectively exchange dialogue and learn how to correspond amongst each other, while simultaneously expressing the many different theories and hermeneutical approaches which abound in theological studies today.

Through the aforementioned curricular structure, the PhD student achieves the objectives of the program. The PhD has the structure to effectively prepare and train the forthcoming researchers and academic faculty to articulate and confront the modern questions in theology and church life.

Kind regards,

Ioannis Kourempeles

Digitally signed by Ioannis Kourempeles
Date: 2021.02.22 20:03:07 +02'00'

Prof. Dr. Ioannis Kourempeles

Lublin, Poland, 15.02.2021

**Rev. Sławomir Nowosad**
**Professor of the John Paul II Catholic University of Lublin, Poland**
**Former Dean of Theology Faculty and Vice-Rector of the University**

**To Whom It May Concern**

**Review of the PhD Programme in Theology,**
**Sulkhan-Saba Orbeliani University, Tbilisi, Georgia**

Theological studies have been an essential part of the academic curriculum ever since the first universities came into being in the Middle Ages. It was theology, medicine and law that were called 'higher disciplines' and enabled former Studia Generalia or Cathedral Schools to achieve an academic status and become universities. It was theology that was considered the most difficult as well as most important of the academic disciplines and thus was called 'domina theologia'.

I believe it is crucial for a good university to include theology programmes in order to have an authentic and diversified programme of studies and a wide range of scientific and scholarly issues to offer to its students. Such a programme should cover doctoral programme, which is the case at the Sulkhan-Saba Orbeliani University. The proposed **PhD Program in Theology** guarantees that the intended objectives will be achieved. What particularly matters is that doctoral students will not just acquire necessary knowledge in Christian Catholic theology but also learn how to conduct research, critically relate to sources and write a doctoral thesis.

The structure of the programme is logical and well balanced. It is obvious it is going to be feasible. What can also be easily identified is that it is practically oriented. Thus the graduates will be well-skilled to continue their research in contemporary theology and culture issues in order to write and publish their achievements. They, too, are going to be adequately prepared to teach both at elementary-secondary schools and in colleges and university faculties.

Yours,



Rev. Sławomir Nowosad